პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 123 (9591) | ოთხშაბათი, 27 მაისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

უზრუნველვყოთ წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალებათა პირნათლად შესრულება — **მოწინავე** (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
ვ. შავგულიძე, დ. პაიჭაძე. — კომუნისტების მაღალი აქტიობათ (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა. — მხედველობიდან გამორჩენილი საკითხები (მე-2 გვერდი).
ხ. შონია. — შრომითი აღმავლობა (მე-2 გვერდი).
შ. რევიშვილი. — „დემოკრატიული გერმანიის პოეტები" (მე-3 გვერდი).
ა. ბურთიკაშვილი — სტალინირის თეატრი (მე-3 გვერდი).
წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).
ევროპის VIII პირველობა კალათბურთში (მე-3 გვერდი).
ი. ა. მალიკის პასუხი იმ წინადადებაზე, რომ ... ნას ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულებას მიბმაბ... საკითხზე, საგარეო საქმეთა მინისტრების [illegible] ბირი (მე-4 გვერდი).
ტოლიატის გამოსვლა ტურინში და პიეტრო ნენისა — ნეაპოლში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).
ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში (მე-4 გვერდი).

უზრუნველვყოთ წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალებათა პირნათლად შესრულება

პარტიის XIX ყრილობამ საბჭოთა ხალხს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაუსახა სოციალისტური მრეწველობის, როგორც სახალხო მეურნეობის მთავარი დარგის, შემდგომი განვითარება და სრულყოფა, რაზეც დიდად არის დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების სიმტკიცე, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შეუნელელი ამაღლება. ეს ამოცანა გულისხმობს სამრეწველო წარმოების დონის ამაღლებას მეხუთე ხუთწლედის მანძილზე დაახლოებით 70 პროცენტით და მრეწველობის ზრდის საშუალო წლიური ტემპის დაჩქარებას დაახლოებით 12 პროცენტით. ამასთან აღსანიშნავია, რომ წარმოების საშუალებათა წარმოების (მძიმე მრეწველობა) ყოველწლიური ზრდის ტემპი განსაზღვრულია 12 პროცენტის ოდენობით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოებისა (მსუბუქი მრეწველობა) — 11 პროცენტით.

ყრილობის ამ უაღრესად პასუხსაგები დავალების გასანაღდებლად ჩვენი რესპუბლიკის პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები ორგანიზატორულ მუშაობას აჩაღებენ, რაზმავენ მასებს, სათავეში უდგებიან მათს შრომითს შემოქმედებითს აქტივობას, აწყობენ მასობრივ სოციალისტურ შეჯიბრებას წარმოების შინაგანი რესურსების გამოსავლინებლად, ახალი ხუთწლედის ვადამდე შესრულების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივების მუშაობის შედეგები წლის განვლილ თვეებში ცხადყოფენ, რომ სოციალისტური შეჯიბრების, კომუნისტური შენებლობის ამ მრავალგზის ნაცადი მეთოდით მუშაობის მასობრივად გაჩაღება ის საშუალაა, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის მრეწველობის საერთო აღმავლობას, ჩამორჩენილ საწარმოო კოლექტივთა დაწინაურებას და საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას ყველა მაჩვენებლის მიხედვით. აპრილამდე საწარმოო გეგმების შესრულებაში ჩამორჩენილი იყო ჩვენი ქვანახშირის მრეწველობის ისეთი წამყვანი ტრესტის, როგორიც ტყიბულქვანახშირის ტრესტია, ყველა შახტი, გარდა გელათის შახტისა, რომელმაც ერთადერთმა მთელ ტრესტში შეასრულა პირველი კვარტალის დავალება. აპრილიდან შახტებმა უკეთესად იწყეს მუშაობა, გააძლიერეს ქვანახშირის ამოღების ტემპი. ახლა მთელ ტრესტში მხოლოდ სტალინის სახელობის შახტი ვერ ასრულებს გეგმას.

მუშაობის გარდაქმნის კიდევ უფრო კარგი მაგალითი გვიჩვენეს ამიერკავკასიის რკინიგზის ნავთლუღის კვანძის რკინიგზელებმა. ნავთლუღის კვანძი წინა თვეებში ჩამორჩებოდა ყველა მაჩვენებლის მიხედვით. სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლის, რკინიგზელთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების შედეგად აპრილში კვანძის კოლექტივი მთელ გზაზე დაწინაურდა და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლის შედეგად წლის განვლილ თვეებში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს მთელმა რიგმა საწარმოებმა და ახალმშენებლობათა კოლექტივებმა. ასეთ მოწინავე საწარმოთა წყებაში არიან ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს, ორთაჭალჰესის მშენებლობის, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის, ახალციხექვანახშირის პირველი შახტის, კასპის ცემენტის ქარხნის, თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის და მთელ რიგ სხვა საწარმოთა და ახალმშენებლობათა კოლექტივები.

საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ სჯერდებიან უკვე მიღწეულს, არამედ თავიანთ ყურადღებას მიმართავენ იქითკენ, რომ აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, იმუშაონ დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ მუშაობდნენ და ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს მუშაობენ. ჩვენი მრეწველობის კარგი მუშაობის საერთო მაჩვენებლების მიუხედავად, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ არიან ისეთი საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ საწარმოო დავალებებს, ჩამორჩებიან, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ამ საწარმოთა ხელმძღვანელები საშუალო მაჩვენებლებს იქით ვერ ამჩნევენ ცუდად მომუშავე უბნებს, ვერ იჩხენენ უნარს ნაკლოვანებათა გამოვლინებასა და აღმოფხვრაში. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო. მეფოლადეები ჩამორჩნენ, თუმცა მათ უკეთესად მუშაობის ყველა პირობა აქვთ. ასეთ ჩამორჩენილ საწარმოთა წყება, სამწუხაროდ, არც თუ მცირერიცხოვანია.

მეურნეობის ხელმძღვანელობა ისე, როგორც ამას გვასწავლის პარტია, ნიშნავს იმას, რომ უზრუნველვყოთ სახელმწიფო დავალებათა შესრულება ყველა საწარმოში არა მარტო საერთო პროდუქციის გამოშვების მიხედვით, არამედ სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ასორტიმენტის მიხედვითაც და ამასთან დაუცხრომლად ვიბრძოლოთ პროდუქციის ხარისხის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და წარმოების შინაგანი რესურსების გამოვლინებისა და გამოყენებისათვის.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ბოლომდე თვეზე ცოტა მეტი დრო დარჩა. საჭიროა ეს ვადა მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოიყენონ იმ საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ შეძლეს დასახული გეგმების შესრულებაში გადამწყვეტი გარდატეხის მიღწევა. რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში, მათ შორის ისეთებში, როგორიც არიან ფოლადთუჯის სამსხმელო ქარხანა, თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკა და სხვები, განვლილი ოთხი თვის საწარმოო დავალებები ვერ შეასრულეს. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები ვერ იჩენენ მოქნილობას, ოპერატიულობას, და ნაცვლად იმისა, რომ ყოველდღიურად შეაჯამონ საწარმოთა მუშაობის შედეგები, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები შექმნილი დაბრკოლებების სალიკვიდაციოდ, მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ არსებულ შესაძლებლობათა უკეთესად გამოყენებისათვის, ელოდებიან ზემოდან დახმარებას, ნედლეულის თუ დამხმარე მასალების მზამზარეულად მიწოდებას.

მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის დარგში დიდი და ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს. ჩამორჩენილ საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ამოცანაა გულდასმით შეისწავლონ ეს გამოცდილება, გამოიყენონ იგი ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, ფართოდ გაავრცელონ და მასობრივად დანერგონ მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდები. წლის პირველი ნახევრის ბოლომდე დარჩენილ დროში უზრუნველვყოთ მუშაობის გამაჯანსაღებელ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დაკვრითი წესით განხორციელება.

მრეწველობის სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული მუშაკების გადაუდებელი ამოცანაა მიაღწიონ წლის პირველი ნახევრის გეგმების აუცილებლად შესრულებას და ამით შექმნან საჭირო წინაპირობა წლიური გეგმის გადაჭარბებისათვის.

5 თვის გეგმა — 25 მაისისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის მაღაროელებმა თავიანთ უკრაინელ თანამოძმეებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში მორიგ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს — მარგანეცის მოპოვების ხუთი თვის გეგმა ვადამდე თითქმის ერთი კვირით ადრე — 25 მაისისათვის შეასრულეს.

ტრესტის მაღაროთა კოლექტივებს შორის განსაკუთრებით დაწინაურდნენ ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. ახლა ჭიათურელი მაღაროელები მადანს ივნისის ანგარიშში იღებენ.

28 მაისს საღამოს 8 საათზე **მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-4 მოწვევის საქალაქო საბჭოს მე-3 სესია.**

სესია გაიხსნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ. № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე 7 საათიდან.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

ქვანახშირი გეგმის გადამეტებით

ტულა, 25 მაისი. (საკდესი). „ბოლოხოვუგოლის" ტრესტის № 23 შახტის მაღაროელებმა დღეს ვადამდე დაამთავრეს ქვანახშირის ამოღების ხუთი თვის გეგმა. ივნისის ანგარიშში ერთი დღით ადრე დაიწყეს ქვანახშირის ამოღება „კალინინუგოლის" ტრესტის № 68/71 შახტმა და „კრასნოგვარდეისკუგოლის" ტრესტის № 1 „ლიპკოვსკაიას" შახტმა.

მაღაროელთა შეჯიბრებაში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს „სკურატოვუგოლის" ტრესტის № 6 შახტის მუშაკებმა, რომლებმაც ხუთი თვის გეგმა შეასრულეს ჯერ კიდევ 18 მაისს. გეგმის გადამეტებით ამოღებული თითქმის 14 ათასი ტონა ქვანახშირი — ასეთია მათი სტახანოვური შრომის შედეგი. მაისში საწარმო დღეღამეში იძლევა საშუალოდ 100 ტონით მეტ სათბობს, ვიდრე დაპროექტებული სიმძლავრე ითვალისწინებს.

აკადემიკოს ა. ტამანიანის დაბადების 75 წლისთავი

ერევანი, 25 მაისი. (საკდესი). ქალაქის საზოგადოებრიობამ აღნიშნა გამოჩენილი სომეხი ხუროთმოძღვრის, არქიტექტორის აკადემიკოს ა. ტამანიანის დაბადების 75 წლისთავი.

ა. ტამანიანი ერთ-ერთი პირველი არქიტექტორია, რომელმაც ენერგიული მონაწილეობა მიიღო ახალი ერევნის მშენებლობაში. დიდია მისი დამსახურება ეროვნული არქიტექტურის შექმნასა და სრულყოფაში.

აკადემიკოს ა. ტამანიანის დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით სომხეთის საბჭოთა არქიტექტორების კავშირში გაიმართა საღამო, აქეს გაიხსნა მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ელექტროშედუღების ახალი ტექნიკა მშენებლებისათვის

ლენინაკანი. (საკდესი). 19 მაისს ქარხანა „ელექტრიკში" დამთავრდა კონტაქტური შედუღების მრავალელექტროდიანი ავტომატის გამოცდა. ახალი მანქანა ადუღებს საარმატურე ფოლადის 2,7 მეტრი სიგანისა და სამიდან ათ მილიმეტრამდე სისქის ლითონის ბადეს. ასეთი ბადე დიდი რაოდენობით იხარჯება სხვადასხვა რკინაბეტონის კონსტრუქციების დამზადების დროს.

ახალი მანქანა არსებულ საშუალებებთან შედარებით 6-8-ჯერ აჩქარებს არმატურის დამზადებას რკინაბეტონის კონსტრუქციებისათვის და ამავე დროს აძლიერებს შედუღებული ნაწიბურების სიმკვიდრეს. ეს ავტომატური აგრეგატი განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნების საკონვეიერო ხაზებში.

★★

მძლავრი ტურბინების დეტალების დასამუშავებელი ჩარხები

ქრამატორსკი. (საკდესი). მძიმე ჩარხმშენებლობის ქარხანამ ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილას" დაკვეთით დაამზადა ჩარხი, რომელიც განკუთვნილია ელექტრომანქანების შვიდმეტრიანი 70-ტონიანი დეტალების დასამუშავებლად. ახალი ჩარხი მეორე გიგანტური აგრეგატია, რომელიც ქრამატორსკელებმა გაუგზავნეს ლენინის ქალაქის ელექტრომანქანათმშენებლებს.

ქრამატორსკის ჩარხმშენებლები მონაწილეობას იღებენ დიად მშენებლობათა დაკვეთების შესრულებაში. ისინი ადიდებენ გიგანტური დეტალების დასამუშავებელი ჩარხების გამოშვებას. ერთ-ერთი ასეთი მძიმე სახარატო ჩარხი დადგმულია სტალინის სახელობის ნოვო-ქრამატორსკის ქარხანაში. ამ ჩარხზე ამუშავებენ კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის ტურბინების დეტალებს. უნიკალური ჩარხები წელს გაეგზავნათ აგრეთვე ლენინგრადის, ხარკოვისა და სხვა ქალაქების ტურბინმშენებლებს.

სიმღერის დღესასწაული

ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა სიმღერის მასობრივი დღესასწაულები. ისინი გაიმართა უზბეკეთის ქალაქებში, რიგინულ ცენტრებში, მუშათა დაბებსა და ყიშლაღებში, ყირგიზეთის დედაქალაქ ფრუნზეში, ნალჩიკში, ასტრახანში, უსტ-კამენოგორსკში, ტულასა და სხვა ადგილებში.

სიმღერის დღესასწაულები ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა და მშრომელთა შორის დიდი პოპულარობა მოიპოვა. გასულ წელს დღესასწაულები მოეწყო ჩვენი ქვეყნის 47 ქალაქში.

ახლა მუშათა კლუბებში, კულტურის სასახლეებსა და სახლებში, საწარმოთა წითელ კუთხეებში ითვლება 30 ათასზე მეტი მომღერალთა კოლექტივი. იქ მეცადინეობს 700 ათასზე მეტი მუშა, მოსამსახურე და მათი ოჯახების წევრი.

მაისიდან ოქტომბრამდე სიმღერის მასობრივი დღესასწაულები გაიმართება ჩვენი ქვეყნის ასზე მეტ ქალაქში. პროფკავშირების მომღერალთა, მუსიკოსთა და მოცეკვეთა კოლექტივებს გარდა, დღესასწაულებში მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეები, სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეები, სარეწაო კოოპერაციის მუშაკები. მასობრივი გამოსვლების პროგრამაში შეტანილია ხალხური სიმღერები, საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, სსრ კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა ცეკვები, რუსი კლასიკოსების ნაწარმოებნი. (საკდესი).

უზბეკეთში დაიწყო მოსავლის აღება

ტერმეზი, 24 მაისი. (საკდესი). ბაისუნის რაიონის უსმან იუსუფოვის სახელობის კოლმეურნეობამ სურხან-დარიის ოლქში პირველმა დაიწყო ქერის აღება. მის შემდეგ პურეულის აღებას შეუდგნენ შირაბადის რაიონის კარლ მარქსის სახელობის, კალინინის სახელობის, ტერმეზის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელები. მოსავალი შარშანდელზე გაცილებით დიდია.

ნოვგოროდის მუზეუმის სურათების გაძარცვა

ნოვგოროდი, 23 მაისი. (საკდესი). ისტორიის მუზეუმის სურათების გალერეა ექსპონატებით შეივსო. გაიხსნა სამი ახალი დარბაზი, რომლებშიც ექსპონირებულია ი. ე. რეპინის, ვ. დ. პოლენოვის, ვ. ა. სეროვის, ვ. ვ. ვერეშჩაგინის, ნ. პ. კრიმოვის, ი. ვ. გრაბარის, კ. ფ. იუონისა და ბევრი სხვა მხატვრის ნაწარმოებნი.

თხილის თესვა სამხრეთ ყაზახეთში

ხოჯენტი (**სამხრეთ ყაზახეთის ოლქი**), 25 მაისი. (საკდესი). ჩირჩიკის სატყეო მეურნეობამ დაამთავრა თხილის საწარმოო თესვა. დათესილია 138 კილოგრამი თესლი, რომელიც საქართველოდან მიიღეს. ამ კულტურის ათვისების პირველი ცდები აქ განახორციელა ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ყაზახეთის ფილიალის მიწათმოქმედების ინსტიტუტმა ბოსტანდიკის საცდელ მინდორში.

ახალი კულტურა საუცხოოდ არის ათვისებული სამხრეთ ყაზახეთის პირობებში. თხილი ყოველწლიურად იძლევა მსხვილ და სრულგულიან ნაყოფს, რომელიც თავისი ხარისხით არაფრით არ ჩამოუვარდება საუკეთესო სამრეწველო ჯიშებს, საუცხოო გემო აქვს და ნოყიერია.

ბოსტანდიკის რაიონის სატყეო მეურნეობები ფიქრობენ გაავრცელონ თხილი ქვეტყის სახით მთის კაჟლის ტყეებში.

ელექტროსტალის მეტალურგთა შრომითი წარმატება

ელექტროსტალი (**მოსკოვის ოლქი**), 25 მაისი (საკდესი). ქარხანა „ელექტროსტალის" მეტალურგები წარმატებით ასრულებენ სოციალისტურ ვალდებულებებს. გუშინ მათ ვადამდე შეასრულეს ლითონის გამოღნობის ხუთი თვის გეგმა.

საწარმოში ივნისის ანგარიშში ფოლადის გამოშვება პირველებმა დაიწყეს ფოლადმდნობელებმა ზახაროვმა, ნესტეროვმა, ჩიკოვმა, შერშავკინმა, იაკუშინმა და დრუჟინინმა. მათ ანგარიშზეა გეგმის გადამეტებით გამოდნობილი ასობით ტონა ლითონი, რომელიც გამოშვებულია დაზოგილი ელექტროენერგიით.

დ. ნ. პრიანიშნიკოვის სახელობის პრემიის მინიჭება

25 მაისს მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ განიხილა შრომები, რომლებიც წარდგენილია აკადემიკოს დ. ნ. პრიანიშნიკოვის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად, რაც ყოველწლიურად ენიჭებათ საუკეთესო ნაშრომისათვის აგროქიმიაში, სასუქების წარმოებასა და გამოყენებაში.

სამეცნიერო საბჭომ დ. ნ. პრიანიშნიკოვის სახელობის პრემია მიანიჭა ტიმირიაზევის აკადემიის აგროქიმიის კათედრის თანამშრომლებს უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა აგროქიმიის კურსის სახელმძღვანელოს ხელნაწერისათვის, რომელიც შედგენილია სტალინური პრემიის ლაურეატის პროფესორ ა. გ. შესტაკოვის რედაქციით. (საკდესი).

მოსკოვი. „მოსკვიჩის" მარკის თბომავლები „ქვის დიდი ხიდის" ნავმისადგომთან.
ფოტო ვ. კოშევოისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

შანხაი ჩინეთის საფეიქრო მრეწველობის ცენტრია

შანხაი, 25 მაისი. (საკდესი). ახლოვდება გომინდანელთა ბანდების უღლისაგან შანხაის განთავისუფლებისა და უცხოელ იმპერიალისტების მტაცებლური ბატონობისაგან ქალაქის ეკონომიკის ხსნის მეოთხე წლისთავი. ახლა ქალაქში არ არის ცხოვრების ან სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, სადაც გასაოცარი ცვლილება არ მომხდარიყოს.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში შანხაელ ფეიქართა წარმატებების შესახებ აღმოსავლეთ ჩინეთის საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს უფროსმა ჯან ჩენ-ძუნმა განაცხადა: განთავისუფლებამდე ჩინეთის საფეიქრო მრეწველობა დიდი დაცემის მდგომარეობაში იყო. გომინდანელთა ანტისახალხო პოლიტიკის შედეგად წარმოება წლითიწლობით მცირდებოდა. მატულობდა უმოქმედო საწარმოთა რიცხვი. მაგრამ სახალხო ხელისუფლების მოღვაწეობის პირველსავე წელს წარმოების დონემ შანხაის სახელმწიფო საფეიქრო ფაბრიკებში გადააჭარბა განთავისუფლებამდე არსებულ წარმოების დონეს. 1952 წელს ბამბის ნართის გამოშვება 1949 წელთან შედარებით შეადგენდა 188,9 პროცენტს, ბამბის თეთრი ქსოვილისა — 213,52 და შეღებილი ქსოვილისა — 274,09 პროცენტს. ყველა სახეობის საფეიქრო პროდუქციის მნიშვნელოვანი გადიდება დასახულია 1953 წლისათვის — ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პირველი წლისათვის.

წლითიწლობით მატულობს შრომის ფრიადოსანთა რიცხვი საფეიქრო მრეწველობაში. მარტო 1952 წელს 2 ათასზე მეტი მუშა და მათ შორის ბევრი ქალი დაწინაურებულ იქნა ხელმძღვანელ სამუშაოზე.

ფეიქარი მუშებისათვის შენდება დასასვენებელი სახლები, სკოლები და საცხოვრებელი სახლები. 1953 წელს მწყობრში ჩადგება საერთო საცხოვრებლები 12.000 კაცისათვის და 10.000 ბინა ოჯახიანი მუშებისათვის. ფეიქარ მუშათა დიდი უმრავლესობა ამჟამად სწავლობს პოლიტსკოლებში, ტექნიკურ და სხვა წრეებში.

სახელმწიფო სამიწათმოქმედო მეურნეობანი ბულგარეთში

სოფია, 22 მაისი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო აღნიშნავს, ბულგარეთის სახელმწიფო სამიწათმოქმედო მეურნეობანი პირველი დამატრაფული ხუთწლედის მანძილზე სანიმუშო მეურნეობებად გადაიქცნენ. მათი რიცხვი გაიზარდა 91-დან 107-მდე, ხოლო მათ მიერ დამუშავებული ფართობი ერთიორად და კიდევ მეტად გადიდდა. ხუთწლედის მანძილზე ბამბის, შაქრის ჭარხლისა და მზესუმზირას ფართობი დაახლოებით ერთიოთხად გადიდდა.

სახელმწიფო სამიწათმოქმედო მეურნეობები აღჭურვილია უახლესი საბჭოთა ტექნიკით. ტრაქტორების რიცხვი ერთიოთხად გადიდდა 1948 წელთან შედარებით. მარცვლეულ კულტურებს მთლიანად კომბაინებით იღებენ. სახელმწიფო სამიწათმოქმედო მეურნეობებში ისეთ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს იყენებენ, როგორიც არის სელის კომბაინი, ბამბის კომბაინი, ჭარხლის კომბაინი და სხვები. სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების ზრდამ შესაძლებელი გახადა ნაწვერალის ათშვის სამუშაობის, ღრმა ხვნის სრული მექანიზაცია.

1952 წელს სახელმწიფო მეურნეობებში აღებული 30-ჯერ მეტი ხორბალი, ვიდრე 1948 წელს, ათჯერ მეტი მზესუმზირა და ორჯერ მეტი ბრინჯი.

სახელმწიფო სამიწათმოქმედო მეურნეობანი ჯიშიანი თესლით, ნერგითა და ჯიშიანი პირუტყვით ამარაგებენ შრომითს კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობებს.

რუსული ენის ინსტიტუტი პრაღაში

პრაღა, 24 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ პრაღაში შეიქმნა რუსული ენის ინსტიტუტი. ინსტიტუტს, რომლის პირველი სასწავლო წელი 1 სექტემბერს დაიწყება, ექნება საშუალო სკოლების უფროსი კლასებისათვის რუსული ენის მასწავლებელთა მომზადების განყოფილება და უმაღლეს სასწავლებელთა რუსული ენის მასწავლებელთა მომზადების განყოფილება. ორივე განყოფილების სასწავლო პროგრამა გათვალისწინებულია 4 წლისათვის.

ინსტიტუტთან გაიხსნება საღამოს და დაუსწრებელი განყოფილებანი. საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე სწავლის ვადა ხუთი წელიწადია.

1954-1955 სასწავლო წელს ინსტიტუტში შეიქმნება მთარგმნელთა განყოფილება.

პოლონეთი პატივსა სცემს ნიკოლოზ კოპერნიკის ხსოვნას

ვარშავა, 25 მაისი. (საკდესი). გუშინ პოლონეთის ძველ ქალაქ ფრომბორკში, სადაც თავისი სიცოცხლის მეტ ხანს ცხოვრობდა და მუშაობდა დიდი პოლონელი მეცნიერი — ასტრონომი ნიკოლოზ კოპერნიკი, გაიმართა კოპერნიკის წლის დაწყებასთან დაკავშირებული ზეიმი. ზეიმში მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბოლესლავ ბერუტმა, სახელმწიფო საბჭოს წევრებმა, აგრეთვე პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მეცნიერების მოღვაწეებმა და ქალაქისა და მახლობლად მდებარე სოფლების მშრომელებმა.

ქალაქის მუზეუმში გაიხსნა კოპერნიკის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მუდმივი გამოფენა.

პარტიული ცხოვრება

კომუნისტების მაღალი აქტივობით

აჭარის საოლქო პარტიული კონფერენცია

აჭარის XXII საოლქო პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, ცხადყო პარტიული მასების მისწრაფება — ბოლომდე ამხილონ და სწრაფად გამოასწორონ საოლქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში დაშვებული სერიოზული შეცდომები და დამახინჯებანი, უზრუნველყონ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება.

საოლქო კონფერენციის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა მისი მაღალი იდეური დონე, დელეგატების აქტივობა და საქმიანი მონაწილეობა მათ წინაშე მდგომი ამოცანების განხილვაში, აჭარის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში დაშვებულ შეცდომათა და ნაკლოვანებათა ულმობელი კრიტიკა.

საანგარიშო პერიოდში პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში აჭარის მშრომელებმა ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის დარგში. მაგრამ წარმატებები უფრო მეტი იქნებოდა, რომ პარტიის საოლქო კომიტეტს თავის მუშაობაში არ დაეშვა შეცდომები, რომ სახალხო მეურნეობისადმი, იდეოლოგიური მუშაობისადმი კონკრეტულად, არსებითად გაეწია ხელმძღვანელობა.

საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სწორად არ იყო შედგენილი. საჭირო იყო, რომ მომხსენებელს ამხ. გ. ცინცაბაძეს მოეცა აჭარის პარტიულ ორგანიზაციაში შექმნილი ვითარების ანალიზი, საკითხები გაეშუქებინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 14 აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე და გაეკეთებინა სათანადო დასკვნები. მაგრამ იგი ასე როდი მოიქცა. მოხსენებაში მას არაფერი უთქვამს თვით საოლქო კომიტეტის და მის განყოფილებათა მუშაობაზე, ხოლო საქალაქო და რაიონული კომიტეტების შესახებ აღნიშნა, რომ ისინი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებსო. მაგრამ ამის დასადასტურებლად მომხსენებელს არ მოუყვანია კონკრეტული ფაქტები. უფრო მეტიც: იმაზე თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებებისათვის, რა კეთდება კონკრეტულად მათ გამოსასწორებლად, საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამი იყო მხოლოდ ზოგადად, არაკონკრეტულად, მიკიბულ-მოკიბულად.

კონფერენციაზე გამოსულმა დელეგატებმა სავსებით სამართლიანად აღნიშნეს, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელები, მათ შორის ამხ. ცინცაბაძე გატაცებით ეწეოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის ა. მგელაძის შექებას, ყოველმხრივ რეკლამას უკეთებდნენ მას. მაგალითად, საოლქო კომიტეტის სპეციალურ თათბირებს იწვევდნენ იმაზე, თუ როგორ შეესწავლათ ა. მგელაძის გამოსვლები. აქ ცალკე ბროშურადაც გამოსცეს მისი მოხსენება ბათუმის პარტიული აქტივის კრებაზე.

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ულმობელმა კრიტიკამ ცხადყო, რომ კომუნისტები სავსებით კანონიერად მოითხოვდნენ გარკვეულ პასუხს შიშველი ადმინისტრირების, თვითრეკლამის, კადრების ნაცნობ-მეგობრობის ნიშნით შერჩევის, ქვემოდან მომდინარე კრიტიკის ჩახშობისა და მანკიერი სტილით მუშაობის სხვა უმსგავს გამოვლინებათათვის. თავის მოხსენებაში კი ამხ. ცინცაბაძეს ერთი სიტყვაც არ უთქვამს საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების შესახებ, ანალიზი არ გაუკეთებია მათი მუშაობისათვის.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა დააყენეს პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის მრავალი საკითხი.

თვითკრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა პატივისცემით არ სარგებლობდა აჭარის პარტიულ ორგანიზაციაში. კონფერენციის დელეგატებმა ამხ. ს. ესაძემ, ი. რუხაიამ, გ. მესხიძემ, კ. შაჟიშვილმა, პ. კოხრეიძემ და სხვებმა მოიყვანეს ქვემოდან მომდინარე კრიტიკის ჩახშობისა და პრინციპული კრიტიკისათვის მუშაკთა დევნის, შევიწროებისა და დასჯის მრავალი ფაქტი.

დელეგატებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი და მისი პირველი მდივანი ამხ. ცინცაბაძე ხელს არ უწყობდნენ თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის გაშლას. თვით ამხ. ცინცაბაძე ვერ ითმენდა კრიტიკას, ანგარიშს უსწორებდა ყველას, ვინც ხმას აიმაღლებდა ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. ა. მგელაძის მაგალითისამებრ ამხ. ცინცაბაძე ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშაკებს აწინაურებდა ნაცნობ-მეგობრობის მიხედვით, ხოლო სასტიკად სდევნიდა მთელ რიგ მუშაკებს, რომლებსაც არარსებულ ნაციონალიზმში ედებოდათ ბრალი. ამ მუშაკების წინააღმდეგ იგი იყენებდა უპატიოსნო ადამიანებს, კერძოდ საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს გ. ლორთქიფანიძეს, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ზოგიერთი პატიოსანი მუშაკის მიმართ ცილისმწამებლური ბრალდებების შეთითხნაში.

სერიოზული ნაკლოვანებებია საოლქო სამეურნეო კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმეში. საოლქო კომიტეტმა დაამახინჯა პარტიის მითითება კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების განმტკიცების შესახებ. ეს კი იწვევდა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ხშირ ცვლას. გასული წლის მეოთხე კვარტალში და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კოლმეურნეობათა 31 თავმჯდომარე შეიცვალა. 1951-1952 წლებში კი კოლმეურნეობათა 127 თავმჯდომარიდან შეცვლილ იქნა 87, მათ შორის ერთხელ — 68, ორჯერ — 14, სამჯერ — 4. საკოლმეურნეო კადრების ასეთი ცვალებადობა საქმისათვის მეტად საზიანო აღმოჩნდა.

კადრებისადმი გულისხმიერება საოლქო კომიტეტმა შიშველი ადმინისტრირებით შეცვალა. ამხ. ცინცაბაძე დაპატიმრებითა და პარტიის რიგებიდან გარიცხვით ემუქრებოდა სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. საოლქო კომიტეტი სამუშაოდან ხსნიდა და სამართალში აძლევდა უდანაშაულო მუშაკებს მარტო იმისათვის, რომ მათი სახელი ა. მგელაძის გამოსვლაში იყო მოხსენიებული.

ამხ. ცინცაბაძე ცდილობდა ესიამოვნებინა კარიერისტ ა. მგელაძისათვის და ყველაფერში ბაძავდა მას. როგორც ცხადი გახდა ამხ. დ. მამულაძის, ა. ბერიძისა და დ. დავითაძის გამოსვლებიდან, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებიც ვერ იჩენდნენ საჭირო პრინციპულობას კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში.

პარტიის საოლქო კომიტეტი, მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდნენ იდეოლოგიურ ფრონტს.

საოლქო კომიტეტი ფორმალურად ხელმძღვანელობდა კომუნისტთა პოლიტიკურ სწავლებას. მისი ხელმძღვანელობა პარტიული პროპაგანდისადმი უმთავრესად იმით გამოიხატებოდა, რომ იგი რაიონულ კომიტეტებს სტანდარტულ კითხვარებს უგზავნიდა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ რაიონულ კომიტეტებს და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ იდეოლოგიურ მუშაობაში. განსაკუთრებით დიდია ნაკლოვანებანი იდეოლოგიურ მუშაობაში ბათუმის საქალაქო ორგანიზაციაში. საქალაქო კომიტეტი და მისი ყოფილი პირველი მდივანი ამხ. მ. მეგრელიშვილი სუსტად ხელმძღვანელობდნენ შემოქმედებითი და სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობას, ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ პროპაგანდისტთა იდეურ აღზრდასა და მეთოდურ დახელოვნებას.

საოლქო გაზეთები „საბჭოთა აჭარა“ და „ბატუმსკი რაბოჩი“ ქება-დიდებას ასხამდნენ კარიერისტ ა. მგელაძეს და მის მანკიერ მოხსენებებსა და სიტყვებს „საბრძოლო პროგრამას“, „საპროგრამო, სახელმძღვანელო მითითებებს“ უწოდებდნენ. გაზეთების ფურცლებზე ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი ქვემოდან კრიტიკას, სუსტად აშუქებენ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს.

მომხსენებლისაგან განსხვავებით, კონფერენციის დელეგატებმა დიდი ყურადღება მიაქციეს პარტიის რაიონული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას. ამ საკითხს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები ამხ. ა. ბერიძემ, გ. მესხიძემ, კ. შავიშვილმა, დ. მახარაძემ, ვ. ვადაჭკორიამ, კ. ლომაძემ, ს. ესაძემ და სხვებმა.

პარტიის საოლქო კომიტეტი, ხოლო მისი მიბაძვით საქალაქო და რაიონული კომიტეტები სამეურნეო ორგანოებად გადაიქცნენ და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ პარტიული მუშაობის საკითხებს. საანგარიშო პერიოდში საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომებზე განხილული 806 საკითხიდან მხოლოდ 32 შეეხებოდა პარტიულ მუშაობას (!).

ყოველივე ამან გამოიწვია მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შესუსტება. ბევრ პირველად ორგანიზაციაში არარეგულარულად და მოუმზადებლად ეწყობა პარტიული კრებები, განხილულ საკითხებზე არ გამოაქვთ კონკრეტული ღონისძიებანი. შუახევის რაიონის ნოვარეევის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მიერ მიღებულ დადგენილებებში ყველაფერი დავალებული აქვთ არტელის თავმჯდომარეს, ფერმის გამგეს, ხოლო იმაზე, თუ რა გააკეთონ პარტორგანიზაციის მდივანმა, კომუნისტებმა, — არაფერია ნათქვამი. აქ იქამდეც კი მივიდნენ, რომ სააღიტაციო-მასობრივი მუშაობისათვის პასუხისმგებლობა კოლმეურნეობის ბრიგადირებს დააკისრეს.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ჯეროვან დონეზე არ დგას შესრულების შემოწმება. სუსტია კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება. ეს ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ საქალაქო და რაიონული კომიტეტები ნაკლებად ეხმარებიან პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს, არ აწყობენ მათთვის სემინარებს, ბიუროს სხდომებზე იშვიათად ისმენენ და განიხილავენ მათს ანგარიშებს.

საჭიროა კომუნისტებმა პატიოსნად აღიარონ თავიანთი შეცდომები. არა მარტო უნდა ვამხილოთ, არამედ ბოლომდე უნდა აღმოვფხვრათ ეს შეცდომები და დამახინჯებანი. მაგრამ ასე როდი მოიქცა ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ყოფილმა მდივანმა ამხ. მ. მეგრელიშვილმა არაგულწრფელობა გამოიჩინა, სცადა თავისი შეცდომების მიჩქმალვა. ბათუმის საქალაქო პარტიულ კონფერენციას მან არ უთხრა თავის შეცდომებზე, იმაზე, რომ იგი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად მუშაობის დროს გულმოდგინედ ასრულებდა კარიერისტ ა. მგელაძის დანაშაულებრივ მითითებებს.

ამხ. მეგრელიშვილმა მხოლოდ საოლქო პარტიულ კონფერენციაზე აღიარა თავისი შეცდომები.

კონფერენციამ საოლქო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

არჩეულ იქნა საოლქო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის დელეგატები.

* * *

გაიმართა ახლადარჩეული საოლქო კომიტეტის პლენუმი. საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. მ. ჯაში, მეორე მდივნად — ამხ. ა. ბერიძე, მდივნად— ამხ. ი. ჩხიკვიშვილი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. მირცხულავა.

ვ. შავგულიძე,
დ. პაიჭაძე.

ქუთაისი. აბრეშუმის კომბინატში მაისში დაწინაურდა კომკავშირელი თამარ ხიზანიშვილი, რომელიც გეგმას სისტემატურად 120 პროცენტით ასრულებს. სურათზე: თ. ხიზანიშვილი თავის დაზგასთან.

ფოტო ი. ხაკუნისა.

მეშახტეების მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება

ტყიბული. („კომუნისტის“ კორ.). დღითიდღე ძლიერდება მეშახტეებისა და შახტმშენებლების სოციალისტური შეჯიბრების ტემპი საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობისათვის ახალი საწარმოო მიღწევების მოსაპოვებლად. ბევრი ტყიბულელი სტახანოველი იძლევა მუშაობის საუკეთესო მაგალითს.

ლენინის სახელობის შახტში დიდად დაწინაურდა საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის დელეგატად არჩეული მეშახტე, წარჩინებული მნგრეველი ლ. გოჩელაშვილი, რომელმაც მაისის პირველი ნახევრის დავალება 161 პროცენტით გაანაღდა. ასევე წარმატებით მუშაობენ მეშახტე კომუნისტები — ა. ჭანკვეტაძე და კ. ცირეკიძე.

შახტში მომუშავე კომუნისტები სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან, პირადი მაგალითის ჩვენებით წინ მიუძღვიან მთელ კოლექტივს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში. მათი მაგალითის მიხედვით მაისში დაწინაურდნენ ის მეშახტეებიც კი, რომლებიც წინათ ნორმებს ვერ ასრულებდნენ, ხოლო ახლა ქვანახშირს გეგმის გადამეტებით იძლევიან. მაგალითად, მებიგე ვ. გოგელაშვილმა მაისის ორი დეკადის გეგმას 27 პროცენტით გადააჭარბა. ასევე გააუმჯობესეს მუშაობა მებიგე ლ. ერაძემ და მტვირთავმა გ. ბაბუხადიამ.

მაისში საგრძნობლად დაწინაურდნენ და უკეთესად იწყეს მუშაობა მოლოტოვის სახელობისა და გელათის შახტების იმ მეშახტეებმაც, რომლებიც წინა თვეებში ნორმებს ვერ ასრულებდნენ.

ინერგება მოწინავეთა გამოცდილება

ჭიათურა. („კომუნისტის“ კორ.). კრივოი როგის მაღაროებში მაგარ ქანებს პერფორატორით ბურღავენ. გადაწყდა ეს მეთოდი გადმოენერგათ ჭიათურის მაღაროებშიც. ამ მიზნით რამდენიმე თვის წინათ კრივოი როგიდან ჭიათურაში ჩამოვიდა გამოცდილ მბურღავთა ჯგუფი. ისინი კარგა ხანს დარჩნენ სტალინის სახელობის მაღაროში და მუშებს პრაქტიკულად შეასწავლეს მარგანეცის მაგარი ქანების ბურღვა პერფორატორით. ჭიათურელმა მაღაროელებმა გულმოდგინედ მოჰკიდეს ხელი ამ ახალ საქმეს და კარგ შედეგსაც მიაღწიეს. ამ მეთოდით სანგრევის წინსვლა თვეში 7 მეტრიდან 30 მეტრამდე გაიზარდა.

პერფორატორით მაგარი ფენების ბურღვას საუცხოოდ დაეუფლნენ წარჩინებული მბურღავები ს. სერგეევი, მ. იაკობიძე, დ. მაჭარაშვილი და მ. ტაბატაძე.

გათუმელი რკინიგზელები აუმჯობესებენ მუშაობას

ბათუმი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ბათუმის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა ფართოდ გაიჩაღა სოციალისტური შეჯიბრება ორთქლმავლებისა და ვაგონების ბრუნვის დაჩქარებისათვის, სახელმწიფო ტვირთზიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მაისის განვლილ ორ დეკადაში ამ მხრივ კარგი მიღწევები მოიპოვეს ლენინელმა მემანქანეებმა — ი. თევზაძემ, გ. ზვიადაძემ და ვ. კვაჭანტირაძემ. სატვირთო ოპერაციების სწრაფად შესრულებაში და ვაგონების ბრუნვის დაჩქარებაში საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ სამანევრო ორთქლმავლების მემანქანეებს დ. მანჩხავას, ვ. ტალიკაძეს, გ. ჩხიკვაძეს და გ. ქაშიბაძეს.

მაისში მუშაობა გააუმჯობესეს საორთქლმავლო დეპოს სხვა საამქროთა კოლექტივებმაც.

პრესის მიმოხილვა

მხედველობიდან გამორჩენილი საკითხები

მიმდინარე წლის 7 აპრილს მკითხველთა კონფერენციაზე, რომელიც ახალციხე-ქვანახშირის მეშახტეთა კლუბში შედგა, მეშახტე მკითხველებმა თავიანთი გაზეთის „წითელი დროშის“ (საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო) redაქციას მიუთითეს.

კარგი „იქნებოდა, რომ „წითელი დროშის“ ფურცლებზე უფრო ხშირად იბეჭდებოდეს კრიტიკული წერილები მეშახტეთა კულტურულ-კომუნალური მომსახურების საქმის გაუმჯობესების საკითხებზე, რაც ჯერ კიდევ მუშაობის სუსტ უბანს წარმოადგენს...

...საჭიროდ მიგვაჩნია გაზეთი ხშირად წერდეს მოწინავე მეშახტეთა მუშაობის გამოცდილებაზე, რაც ხელს შეუწყობდა მეშახტეების შრომის ნაყოფიერების ზრდას...

...მეშახტე ახალგაზრდობაში ჩაშლილია სპორტული და კულტურულ-მასობრივი მუშაობა. გაზეთი კი ამის შესახებ არაფერს წერს“...

მოსალოდნელი იყო, რომ „წითელი დროშის“ redაქცია გულისხმიერებას გამოიჩენდა მკითხველთა ამ შენიშვნებისადმი, შეეცდებოდა მუშაობის გარდაქმნას მათი განაწესის მიხედვით, დაეხმარებოდა ახალციხელ მეშახტეებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხების მოწესრიგებაში, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებაში, მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. მაგრამ გაზეთმა მკითხველთა ეს მოლოდინი ვერ გაამართლა, ეს მაშინ, როცა მას ამის სრული შესაძლებლობა ჰქონდა.

ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში გაზეთი იშვიათად პოულობს დროს მეშახტეთა მუშაობის შესახებ საკითხების გასაშუქებლად. გამოქვეყნებული 5 კორესპონდენციიდან მხოლოდ ორი შეეხება საშახტო წარმოებას, სწორედ იმ საკითხებს, რაც მეშახტეებს აინტერესებთ, მაგრამ ეს ორი კორესპონდენციაც ზერელედ, მოვალეობის მოხდის მიზნით დაბეჭდილი წერილების შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგალითად, 1 მაისის ნომერში გაზეთმა მოათავსა პირველი შახტის უფროსის ინჟინერ გ. როინიშვილის წერილი. აღსანიშნავია, რომ ამხ. როინიშვილმა, რაც იგი ამ შახტის ხელმძღვანელად არის, ბევრი რამ გააკეთა მუშაობის გასაუმჯობესებლად, და საყურადღებო შედეგსაც მიაღწია. წინათ პირველი შახტის კოლექტივი ჩამორჩენილი იყო, ქვანახშირის მოპოვების გეგმას ვერ ასრულებდა. ახლა კი ეს შახტი ერთ-ერთი მოწინავეა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ყველა შახტს შორის. მან ვადამდე შეასრულა 5 თვის გეგმა, ხოლო პირველ კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით მესამე საკავშირო ადგილი დაიკავა. „წითელ დროშაში“ მოთავსებულ აღნიშნულ წერილში გ. როინიშვილი მოგვითხრობს:

„შახტის ჩამორჩენის მთავარი მიზეზი იყო შრომის ცუდი ორგანიზაცია, არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური ხელმძღვანელობა და შრომის დაბალი დისციპლინა მუშებსა და შახტის ხელმძღვანელებს შორის. შახტის ხელმძღვანელობა საჭირო ყურადღებას არ აქცევდა საუბნო ადგილის წინწსწარ მომზადებას, რაც იწვევდა მუშახელის მოცდენას. არ იყო დანერგული შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია, მონგრეული ნახშირის ტრანსპორტირება ხელით წარმოებდა, რაც სცემდა შრომის ნაყოფიერებას. დაბალი იყო გამომუშავებული პროდუქციის ხარისხი, ნახშირის ნაცრიანობა 5,4 პროცენტამდე იყო გაზრდილი.

ჩამორჩენის მიზეზების შესწავლის შემდეგ გავატარეთ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რის შედეგად შახტმა კარგად იწყო მუშაობა“...

ეს ძალიან კარგი და სასახელო საქმე გააკეთეს პირველ შახტში, მაგრამ ამის აღნიშვნა როდი კმარა. საჭირო იყო redაქცია დაბარებოდა წერილის ავტორს იმის განმარტებაში, თუ რაში გამოიხატებოდა შრომის ეს ცუდი ორგანიზაცია, არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური ხელმძღვანელობა, ჩამორჩენის მიზეზთა შესწავლის შემდეგ სახელდობრ რა ღონისძიებები განახორციელეს, კონკრეტულად ეს საქმე, რით დაიწყეს, როგორ გარდაქმნეს შახტის მუშაობა. ცხადია ყველა ამ საკითხის განმარტება ერთ წერილში ძნელი იყო, მაგრამ რა უშლიდა ხელს redაქციას რომ მიეცა წერილების მთელი სერია ამ საკითხზე? ამით იგი დაეხმარებოდა მეორე შახტის კოლექტივს, რომლის შესახებაც იგივე გაზეთი 7 მაისის ნომერში გვაუწყებს, რომ ტრესტ ახალციხე-ქვანახშირის № 2 შახტის კოლექტივმა, რომელიც პირველ კვარტალში კარგად მუშაობდა, აპრილში გააუარესა მუშაობა, ვერ შეასრულა ვერც ქვანახშირის მოპოვების და ვერც სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა.

გაზეთმა „წითელმა დროშამ“ მეტი ყურადღება და ადგილი უნდა დაუთმოს მეშახტეების ცხოვრებას, მათ შორის მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას. ახალციხე-ქვანახშირის მეშახტეების კარგი, მაღალნაყოფიერი მუშაობით დაინტერესებულია მთელი ჩვენი რესპუბლიკა. ეს ხედველობაში უნდა მიიღოს გაზეთის redაქციამ და უფრო ოპერატიულად, სისტემატურად გააშუქოს ახალციხელი მეშახტეების შემოქმედებითი მუშაობისა და ყოფაცხოვრების საკითხები, და ამით თავისი წვლილი შეტანოს მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირის მოპოვების საქმეში.

ა. მირცხულავას საიუბილეო საღამო

25 მაისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებლის პოეტ ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ.

იუბილარის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ი. აბაშიძემ. მომხსენებელმა მკაფიოდ დაახასიათა ა. მირცხულავას შემოქმედების განვითარების გზა, აღნიშნა იუბილარის დამსახურება ქართული საბჭოთა პოეზიის წინაშე. ა. მირცხულავა ქართველი ხალხის გრძნობებისა და ფიქრების გამოჩენილი მესტყვეა, მისი საუკეთესო ლექსები სიმღერებად აქცია ხალხმა.

იუბილარს გულთბილი სიტყვებით მიმართეს სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით პოეტმა ე. დოლმატოვსკიმ, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით მწერალმა შ. დადიანმა, მოძმე აზერბაიჯანელ და სომეხ მწერალთა სახელით სტალინური პრემიის ლაურეატმა სულეიმან რუსტამმა და პოეტმა ამოტ გრაშმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით პროფესორმა ა. ბარამიძემ, საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ნ. ვასაძემ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით პროფესორმა შ. რადიანმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების სახელით პ. შამათავამ; აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მწერალთა სახელით გამოვიდნენ ფ. ხალვაში, შ. აკობია და ი. ცხოვრებოვი. პოეტის სამშობლო სოფელ ხორგის მშრომელთა სურვილები გადასცა იუბილარს მასწავლებელმა შ. ცხომარიამ.

პოეტს მხურვალედ მიესალმნენ პიონერები.

იუბილარის სახელზე მიღებული მრავალი მისასალმებელი დეპეშა წაიკითხა მწერალმა ბიბ. მრევლიშვილმა.

ა. მირცხულავამ მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოებისათვის. პოეტმა აღნიშნა, რომ იგი თავის შემოქმედებითს ენერგიას კიდევ უფრო უკეთ წარმართავს სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.

საიუბილეო საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეებისა და მდივნების სემინარი

თელავი. (საკ. კორ.). თელავის რაიონული საბჭოს აღმასკომმა მოაწყო სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეებისა და მდივნების სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები შემდეგ თემებზე: ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, „ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ძირითადი პირობების შესახებ“, „სკკპ მე-19 ყრილობის გადაწყვეტილებანი და ჩვენი ამოცანები“, „პარტიის მე-19 ყრილობის გადაწყვეტილებანი საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელების შესახებ“, „სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება და სასოფლო საბჭოების ამოცანები“, „მუდმივი კომისიების მუშაობა“ და სხვ.

სემინარის მონაწილეები პრაქტიკულად გაეცნენ სასოფლო საბჭოს სესიების და აღმასკომის სხდომების მომზადება-ჩატარების წესებს, ოქმებისა და სხვა დოკუმენტების გაფორმებას.

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ზემო სვანეთი. („კომუნისტის“ კორ.). მოწინავე კოლმეურნეობები მონდომებით მუშაობენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის გადიდებისათვის. სოფელ ლატალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რაიონში ყველაზე ადრე შეასრულა მეცხოველეობის განვითარების 1953 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმა. წარმატებები აქვს წველადობაშიც. სამ თვეში ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 244,6 ლიტრი რძე, ნაცვლად 200 ლიტრისა. ამ წარმატებისათვის კოლმეურნეობას გადაეცა ზემო სვანეთის რაისაბჭოს აღმასკომის და პარტიის რაიონული კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

შრომითი აღმავლობა

ზუგდიდელ მეჩაიეთა საპასუხოდ

წალენჯიხელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ზუგდიდელთა მოწოდებას, მიმართვის პასუხად ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა იკისრა 632 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 2.890 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ანუ 250 კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან.

ამ ვალდებულების შესრულებისათვის მეურნეობის აგროგანყოფილებებსა და საწარმოო ბრიგადებში, მკრეფავთა შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. მოწინავეა მეხუთე აგროგანყოფილება (უფროსი ა. გულორდავა), სადაც კარგად უვლიან ჩაის პლანტაციებს. აქ მაისის პირველი რიცხვებიდან უხვად შემოვიდა ფოთოლი და მიმდინარეობს მისი ყოველდღიური კრეფა.

ამჟამად პლანტაციებში შეაქვთ ტორფ-კომპოსტი და ამუშავებენ მათ მოწინავე მეჩაიეების — მახარაძელი დ. ტაკიძის, ზუგდიდელი თ. ყუფუნიას და გალელი ლ. ბულისკერიას მეთოდებით. სტახანოველები დები შუშანა და თამარ ქანთარიები, ალექსანდრა ტონკიხი, ანტისა ანთია, ნადია სოკოლოვა და ჰარასკევა ნოვიკოვა მზრუნველობით უვლიან მათთვის მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთებს, ყოველდღე კრეფენ ფოთოლს და იბრძვიან იმისათვის, რომ ჰექტარზე თვითეულმა მიიღოს 6 ათასი კილოგრამი ჩაი.

აქ შექმნილია ორი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა. ახალგაზრდა მკრეფავები რაისა ბორისოვა, ვარვარა შუნგელია, ნთელა გაბედავა, მანია აზაროვა, ნადია ტარასენკო და ლიდა ზინკოვსკაია დღეში თვითეული კრეფს 30-40 კილოგრამ ჩაის ფოთოლს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 11 კილოგრამისა.

საბჭოთა მეურნეობა მომზადებული შეხვდა ჩაის კრეფის სეზონს. მკრეფავები მომარაგებული არიან ყველა საჭირო ხელსაწყოთი, გაყვანილია და წესრიგზეა საპლანტაციო გზები. დიდი ყურადღება ექცევა შრომის მექანიზაციის ფართოდ დანერგვას. წელს ხუთას ჰექტარზე ოთხჯერ ჩატარდა კულტივაცია, ბუჩქები გასხლეს აგრონომ კოსტავას სისტემის ჩაის სასხლავი მანქანით.

მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. მ. კოპალეიშვილი) სათავეში ჩაუდგა მეჩაიეთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას და დირექციასთან ერთად მოწინავე აგრონომიებისა და ბრიგადებისათვის დაწესა გარდამავალი წითელი დროშა.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი (დირექტორი ამხ. გ. შეროზია, მთავარი აგრონომი ამხ. ვ. ჩიქავა) ენერგიულად შრომობს იმისათვის, რომ წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.730 ტონის ნაცვლად მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 1.830 ტონა ჩაის ფოთოლი და შეინარჩუნოს შარშანდელი შედეგების მიხედვით მიღებული გარდამავალი წითელი დროშა.

ს. შოლია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

წერილები რედაქციას

უყურადღებოდ მიტოვებული შარაგზა

მეშახტეთა ქალაქს — ტყიბულს ერთადერთი და ისიც ვიწრო შარაგზა აქვს, რომელიც რკინიგზის ვაგზალს ქალაქის ცენტრთან და შახტებთან აკავშირებს. ამ შარაგზაზე მოძრაობს ყველა სახის ტრანსპორტი, დადიან ადამიანები.

ქალაქის სატრანსპორტო საშუალებანი სწრაფად იზრდება, ხოლო ისედაც მცირე გამტარუნარიანობის მქონე შარაგზა მალე სრულიად ვერ დაკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ამ რამდენიმე წლის წინათ ქალაქის მშენებელმა ორგანიზაციებმა განიზრახეს მეორე პარალელური შარაგზის გაყვანა. მისი მშენებლობა კიდეკაც დაიწყეს, მაგრამ მალე თავი მიანებეს.

გზის მშენებლობა უთუოდ უნდა განახლდეს.

ვ. ცირეკიძე.

გამოვიყენოთ ჩაის კლანჭაციის ნარჩენები არომატიზაციისათვის

ჩაის მრეწველობის განვითარებას ბეხუთე სტალინურ ხუთწლედში დიდი ყურადღება ექცევა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დასახულია ამოცანა — დაკმაყოფილონ საბჭოთა კავშირის მოსახლეობა ქართული ჩაით.

მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად შემდგომ გაუმჯობესებულ უნდა იქნას ჩაის მზა პროდუქციის ხარისხი.

ცნობილია, რომ გადამუშავების პროცესში ჩაი ნაწილობრივ კარგავს არომატს და ამით მცირდება მისი ხარისხი. მეცნიერი მუშაკები კარგა ხანია ზრუნავენ ჩაის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც ძირითადად მის ხელოვნურ არომატიზაციაში მდგომარეობს.

საქართველოში ჩაის ხელოვნური არომატიზაციის ცდებს ახდენდა საქართველოს ჩაის ტრესტი და ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ანასეულში. ისინი არომატიზაციისათვის იყენებდნენ სხვადასხვა ეთეროვან ზეთებს. მრავალი ცდის მიუხედავად მათ სასურველ შედეგს — ჩაის სპეციფიკურ ჰარმონიულ არომატს ვერ მიაღწიეს.

1945 წელს პროფესორმა ვ. გოგუაძემ შეძლო ჩაის ხარისხის ამაღლება არომატიზაციის გზით, მაგრამ მის მიერ გამოყენებული ნივთიერების დამუშავება ძნელი იყო და არომატიზაციას დიდი ხანი სჭირდებოდა. ამ ღონისძიების განხორციელება ეკონომიურად არ იყო ხელსაყრელი.

ჩაის ხარისხის გასაუმჯობესებლად 1952 წელს ჩავატარე ცდები ქალაქ წულუკიძის სტუდიას სახელობის კოლმეურნეობაში არსებულ საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საყრდენი პუნქტის ლაბორატორიაში. უხეში ფოთლიდან მიღებულია ჩაის ეთერზეთის ხსნარი, რაც გამოვიყენეთ ხელოვნური არომატიზაციისათვის. ამან ერთგვარი დადებითი შედეგი მოგვცა. საკითხის საბოლოო გადაჭრისათვის საჭიროა სპეციალური ლაბორატორიის მოწყობა და მრავალი სახის ცდების ჩატარება.

სასურველია ამ საკითხს მეტი ყურადღება მიაქციოს საქართველოს ჩაის ტრესტმა, კერძოდ ტრესტის ტექნოლოგიურმა განყოფილებამ.

ი. ხითარიშვილი,
საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.

ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში

საინტერესო ისტორია აქვს ქუთაისის ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელს, რომელმაც არსებობის 34 წლის განძილზე მუსიკალური კულტურის არაერთი გამოჩენილი მოღვაწე აღზარდა.

ახალგაზრდა მუსიკოსთა პროფესიულ დაოსტატებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდა საოპერო კადრების სწრაფად აღზრდასაც. ამ მიზნით სასწავლო წლის დაწყებისთანავე მუშაობა დაიწყო საოპერო კლასმა, რომელშიც შემოიკრიბა ვოკალური და საორკესტრო განყოფილების მოსწავლე ახალგაზრდობა. მომზადდა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერის“ მეორე და მესამე აქტი (საკონცერტო შესრულებით), რომლებიც საჯაროდ დაიდგა სასწავლებლის დამაარსებლის მელიტონ ბალანჩივაძის გარდაცვალების 15 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტზე.

ახლა საოპერო კლასი გულმოდგინედ მუშაობს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ მომზადებაზე, რომლის დადგმა ნავარაუდევია ივნისის პირველი რიცხვებისათვის.

საოპერო-ვოკალური პარტიები მოსწავლეებს მზად აქვთ. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს მოსწავლეთა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელშიც 20-ზე მეტი დამკვრელია.

საოპერო გუნდი, რომელშიც გაერთიანებულია როგორც სასწავლებლის, იხე ქალაქის საწარმოო-დაწესებულებათა ახალგაზრდობა, ასევე ენერგიულად მუშაობს საოპერო კლასის ხელმძღვანელის სიმონ კუხიანიძის დირიჟორობით.

ოპერა „დაისის“ დადგმის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორია თეიმურაზ კობახიძე. ოპერას დგამს ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის ახალგაზრდა რეჟისორი იური კაკულია. მხატვრულად აფორმებს დიმიტრი თაყაიშვილი, ცეკვებს ამზადებს ქორეოგრაფი ბორის საჯაია.

გ. ფალიაშვილი.

სტალინირის თეატრში

პრემიერაზე სტალინირის თეატრის კარიბჭესთან აუარებელ ხალხს მოუყრია თავი. ოსურ ენაზე დგამენ ადგილობრივი დრამატურგის დ. ჯიოევის პიესას „ფუხათი ილიკო“. (ილიკო ფუხაევი).

ამ პიესას მთავარი პერსონაჟი ილიკო ისტორიული პიროვნებაა, მშრომელთა საყვარელი გმირი, ოსი არსენა. ილიკო სასტიკ ბრძოლას უცხადებდა მემამულეებს და მათს დასაყრდენ ძალას — მეფის მთავრობის პოლიციას. რეაქციონერებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს ილიკო მძიმედ დაიჭრა.

„მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ, დაე აღმობრწყინდეს შენზე თავისუფლების მზე“, აღმოხდება ილიკოს და უსულოდ დაეცემა. სამხრეთ ოსეთის მშრომელთა გულში ილიკოს სახელი სამუდამოდ აღიბეჭდა. ხალხმა თავისი საყვარელი გმირი შარავანდედით შემოსა და მთელი რიგი ლეგენდები შექმნა მის შესახებ.

დ. ჯიოევმა ეს პიესა თავისივე რომანიდან გადაკეთა.

პიესის დამდგმელმა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. კაბისოვმა წარმოსასახავი ეპოქის სწორად გაგებით, გამართლებული მიზანსცენებით და ტიპაჟის სწორად გაზრებით ემოციური სპექტაკლი შექმნა.

უდავოდ მოსაწონია მხატვარ ტ. გაგლოევის ნამუშევარი. განსაკუთრებით კარგად არის შესრულებული სოფლის პეიზაჟი.

მოწოდების სიმაღლეზე დგას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ბ. გალაევის მუსიკა. ხალხურ მელოდიებზე აგებული მუსიკა ხელს უწყობს პიესის ათვისებას და აძლიერებს მის ზემოქმედების ძალას.

ილიკოს კოლორიტულ სახეს ქმნის მსახიობი ბორის ცხოვრებოვი. ვაქაციური იერი, ახოვნება, ტემპერამენტი და როლის სიმართლით წარმოსახვა დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ქმნის.

ილიკოს მამის სოსლანის დამაჯერებელ სახეს ქმნის მსახიობი გ. კაბისოვი.

კარგია მოსიყვარულე დედის ბაბიანას როლში მსახიობი ვ. ჩაბიევა.

უარყოფითი პერსონაჟების როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დ. ბამიევი (თავადი ვანო), მსახიობი ფ. ბაგაევი (ბოქაული), დ. ფარასტაევი (მამასახლისი). მიუხედავად იმისა, რომ ეს მსახიობები საკმაო უნარს იჩენენ და თავიანთ არტისტულ შესაძლებლობას აშკარავებენ, როლების გაზრებაში მათ ვერ დაევეთანხმებით, რაც დამდგმელის შეცდომად მიგვიჩნია. მოწონაღმდეგის ჩია და მშიშარა ადამიანებად გამოყვანა არ არის სწორი. კარგი იქნება, თუ რეჟისორი ამ პერსონაჟთა მიერ როლების გაზრებას კვლავ დუბრუნდება.

ამავე თეატრში პარალელურად ქართული დრამატული დასიც მუშაობს. დასის რეპერტუარი უმთავრესად საბჭოთა დრამატურგების ნაწარმოებებისაგან შედგება. დაკინაცული არ არის კლასიკური მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებიც. ამ მხრივ დასის მუშაობა უდავოდ მოსაწონია. შევეხებით ქართული დასის მიერ განსახორციელებულ მ. ბარათაშვილის „მარინეს“ და დ. შჩეგლოვის „გამოქცევას“.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქართული დრამატული დასის მიერ განხორციელებული სპექტაკლი — მ. ბარათაშვილის „მარინე“ სავსებით აკმაყოფილებდეს მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებას, მიუხედავად ცალკეული ადგილების მარჯვედ წარმოსახვისა. ყოველი სპექტაკლი თანდათან მძაფრი უნდა ხდებოდეს. ამ სპექტაკლში კი, პირიქით, დაძაბულობა თანდათან ნელდება და პიესისადმი ინტერესი მაყურებელს ეკარგება. რეჟისორმა შეძლო პირველ ორ მოქმედებაში მაყურებლის დაინტერესება, მაგრამ ბოლო სცენებში ძალა აღარ ეყო და გამარჯვებას ვერ მიაღწია. დამდგმელმა ვერ შეძლო უკანასკნელი სცენების მტკიცე კალაპოტში ჩაყენება. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ორ მოქმედებაში პიესის დამდგმელმა გ. პატარაიძემ ცხადყო თავისი გემოვნება და რეჟისორული უნარი.

აღსანიშნავია მარინე ფერაძის (ჭრიჭინას) როლის შემსრულებელი მსახიობი რ. პლიევა. მსახიობი იმდენად მომხიბლავი და ბუნებრივია, რომ მისი ჭრიჭინა ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს დაიკერს ქართულ სცენაზე ამ როლის შემსრულებელთა შორის. სიმღერის მხრივ ხომ მაყურებლის წინაშეა დახელოვნებული მომღერალი — კარგი სმენით, ძლიერი მუსიკალური ხმით. მაგრამ დრამატული თეატრი მუსიკალურ თეატრად არ უნდა გადავაქციოთ და ზომიერებას არ უნდა ვუღალატოთ. აქაო და მარინეს როლის შემსრულებელს კარგი ხმა აქვსო, მოქმედება სიმღერით არ უნდა გადაიტვირთოს. ასევე ითქმის პიესის მუსიკაზე. კომპოზიტორს ისე გადაუტვირთავს სპექტაკლი მუსიკით, ერთსა და იმავე მოტივს იმდენჯერ ისმენ, რომ პიესისადმი ინტერესი ნელდება და თვალყურს ვეღარ ადევნებ იმას, რაც სცენაზე ხდება.

სამაგიეროდ დ. შჩეგლოვის „გამოქცევა“ თეატრს კარგად აქვს წარმოსახული. ამ პიესის დადგმით რეჟისორმა გ. პატარაიძემ ცხადყო თავისი კარგი შესაძლებლობანი. სპექტაკლის ყველა დეტალი ზუსტად არის დამუშავებული, გარეგნ — სწორად ასახული, მიზანსცენები — გამართლებული.

კარგია მხატვარ ტ. გაგლოევის ნამუშევარი. უბრალო საშუალებებით მხატვარმა შთაბეჭდილების მომხდენი სანახაობა შექმნა და პიესის ათვისებას ხელი შეუწყო.

როლების განსახიერების მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საშას როლის შემსრულებელი ვ. საჩალელი. ავტორს საშას როლში გამოყვანილი ჰყავს ახალგაზრდა სტალინი გადასახლებაში ყოფნისას.

პორტრეტულ მსგავსებასთან ერთად, მსახიობი ისეთი სამართლით, ისეთი სისრულით გადმოგვცემს საყვარელი ადამიანის სახეს, რომ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს.

უდავოდ კარგია გოლუბეევის როლში მსახიობი ი. შერაზადიშვილი.

ასევე მოსაწონია მსახიობი ე. დარბუაშვილი ლაზარეესკის როლში.

გაზრებული თამაშით ყურადღებას იქცევს გ. პატარაძე მატრესოვის როლში; პელაგიას დასამახსოვრებელი სახე შექმნა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნ. ნინოშვა.

ტემპერამენტს იჩენს პავლე ვინოკუროვის როლში მსახიობი გ. ქოქოევი, თუმცა ბოშას გრიმი შთაბეჭდილებას ანელებს.

თავისი უშუალობით ყურადღებას იქცევს ვარვარას როლში მსახიობი თ. ლოლაძე.

მთლიანად სპექტაკლი უდავოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და აჯილავებს დასის შესაძლებლობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეატრს ბევრი რამ სჭირდება. უწინარეს ყოვლისა უნდა გადიდდეს მსახიობთა კონტინგენტი.

თეატრს თითქმის არა ჰყავს ტექნიკური პერსონალი, რაც დარბაზში შესვლისთანავე იგრძნობა.

ერთ პატარა თეატრში ორი დასი მუშაობს. და თუ თეატრს მეტი შესაძლებლობა ექნება, იგი უკეთ განახორციელებს თავის დიდ მისიას — შემეცნებითი მნიშვნელობის მხატვრული სპექტაკლები უჩვენოს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას.

ა. გურთიკაშვილი.

სტუდენტთა შეხვედრა კომპოზიტორთან

მზეთვანი ქართველი კომპოზიტორისადმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იყო გამსჭვალული შეხვედრა, რომელიც სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა 22 მაისს მოუწყეს დ. არაყიშვილს.

შეხვედრაზე დ. არაყიშვილის ცხოვრებისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა ე. მაჩაბელმა. კომპოზიტორს მიესალმა ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული გ. ნიეარაძე.

კომპოზიტორის პატივსაცემად სტუდენტთა ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი.

კონცერტში, რომელიც სამი განყოფილებისაგან შედგებოდა, მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის სტუდენტთა სიმფონიურმა ორკესტრმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ნასიძის დირიჟორობით.

მხეთვანმა კომპოზიტორმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისათვის.

კალათბურთი



ევროპის პირველობა კალათბურთში. სურათზე: სსრ კავშირისა და ბელგიის გუნდების თამაშის მომენტი. ფოტო ა. ნოვიკოვისა.

ევროპის VIII პირველობა

მოსკოვი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე წარმატებით მიმდინარეობს ევროპის მერვე პირველობის გათამაშება კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. ყოველდღიურად ათეულ ათასობით მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებს თვალს უძლიერესთა ასპარეზობას, რომელშიც მონაწილეობს 17 ქვეყნის კალათბურთელთა ნაკრები კოლექტივი.

პირველობისათვის მებრძოლი გუნდები გაყოფილია 4 ქვეჯგუფად. ქვეჯგუფებში გათამაშება მიმდინარეობდა ერთ წრედ. თვითეულ ქვეჯგუფში პირველ ორ ადგილზე გამოსული გუნდები (სულ 8) გაითამაშებენ ფინალს, რომელიც გაიმართება 28, 29, 30 და 31 მაისს, აგრეთვე 2, 3 და 4 ივნისს.

გუშინ გაიმართა წინასწარი შეხვედრების უკანასკნელი ტური. მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა ჩემპიონატის მეორე დღე. 25 მაისის შეხვედრებიდან ისრაელის კალათბურთელებმა მალალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს თამაში და მეორე გამარჯვება მოიპოვეს. მათ მოუგეს ბულგარელ სპორტსმენებს ანგარიშით 61 : 48.

საერთო ყურადღებას იპყრობდა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის მორიგი გამოსვლა. 25 მაისს ჩვენი ქვეყნის კალათბურთელები შეხვდნენ დანიის ზუნდს. საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი მოედანზე გამოვიდა მეორე შემადგენლობით: პეტკიავიჩუსი, ლაურიტენასი, მოისეევი, ელასოვი და ოზეროვი.

თამაში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის მწყობრი იერიშებით დაიწყო. ანგარიში ყოველ წუთში იზრდებოდა. მე-10 წუთზე იგი შეადგენდა 31 : 1 ჩვენი ქვეყნის კალათბურთელთა სასარგებლოდ. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობით ანგარიშით 58 : 3. მეორე ტაიმში ინიციატივას კვლავ ჩვენი ქვეყნის კალათბურთელები ინარჩუნებდნენ; მათ მოიგეს შეჯიბრება დიდი ანგარიშით 118 : 14.

ჩემპიონატის მეორე დღეს უნგრეთის გუნდმა მოუგო ბელგიის კალათბურთელთა კოლექტივს ანგარიშით 57 : 35, ჩეხოსლოვაკიამ — რუმინეთს 49 : 31, ეგვიპტემ — შვეიციას 75 : 26, იტალიამ — შვეიცარიას 82 : 32, იუგოსლავიამ — ფინეთს 41 : 37, საფრანგეთმა — გერმანიას 76 : 44.

გუშინ, 26 მაისს, ქვეჯგუფებში წინასწარი შეხვედრების უკანასკნელ დღეს, თამაშობდნენ ჩეხოსლოვაკია — იტალიის, რუმინეთი — შვეიცარიის, საფრანგეთი — შვეიციის, გერმანია — ეგვიპტის, საბჭოთა კავშირ — უნგრეთის, დანია — ბელგიის, ფინეთ — ლიბანის, იუგოსლავია — ისრაელის გუნდები.

ნ. გუგუშვილი.

ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონები სპორტულ ტანვარჯიშში

კიევი. (საკ.ფსი). დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში.

სსრ კავშირის 1953 წლის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ქალთა შორის მოიპოვა ახალგაზრდა სპორტსმენმა, საზოგადოება „დინამოს“ წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა გენრიეტა კონოვალოვამ (ტაშკენტი). მან მოაგროვა 102,3 ბალი. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოველი სპორტის დამსახურებული ოსტატი გალინა ურბანოვიჩი — 102,15 ბალი.

განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა ბრძოლა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისათვის სპორტულ ტანვარჯიშში ვაჟთა შორის. გამარჯვებული გამოვიდა XV ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოსკოველი ვალენტინ მურატოვი („ისკრა“), რომელმაც მოაგროვა 113,9 ბალი. მეორე ადგილზე 111,85 ბალით გამოვიდა სპარტაკელი სპორტის დამსახურებული ოსტატი გრანტ შაგინიანი (ერევანი).

ბურთი წყალზე

აშხაბადი. 24 მაისს ქალაქის საცურაო აუზში დაიწყო საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდების შეხვედრები წყალბურთში, შეჯიბრებაში მონაწილეობენ სსრ კავშირის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის ნაკრები გუნდები.

პირადის შემდეგ თამაშს პირველნი იწყებენ სსრ კავშირისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. ჩვენი ქვეყნის ნაკრება გუნდის წყალბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2 : 1.

საინტერესო იყო კიევისა და მოსკოვის გუნდების შეხვედრა. მოსკოველებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 7 : 0.

შვეიცარიის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის განცხადება

სტოკჰოლმი, 25 მაისი. (საკ.ფსი). შვეიცარიის მშვიდობის დაცვის ეროვნულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ კომიტეტი მხარს უჭერს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს (რომელსაც ამას წინათ ჰქონდა სხდომები სტოკჰოლმში) კომუნიკეს.

მშვიდობის დაცვის კომიტეტი, ნათქვამია განცხადებაში, მიესალმება უკანასკნელი დროის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელება. შვეიცის სულ უფრო ფართო წრეები უჭერენ მხარს მოთხოვნას დიდი სახელმწიფოების მოლაპარაკების შესახებ.

იტალიის პარლამენტის არჩევნების წინ

რომი, 25 მაისი. (საკ.ფსი). იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში წინასაარჩევნო კამპანიის შესახებ ნათქვამია, რომ სოციალისტური პარტიის ორგანიზაციებმა „ყველგან გააჩაღეს ეფექტიანი საქმიანობა, რომლის მიზანია მაქსიმალური წვლილი შეიტანოს წინასაარჩევნო ბრძოლაში“.

პარტიის ხელმძღვანელობა მოუწოდებს პარტიის წევრებსა და ყველა მოქალაქეს „მაქსიმალური სიფხიზლე გამოიჩინონ წინასაარჩევნო კამპანიის კანონიერი ხასიათის დაცვისათვის, თაღლითობისა და ბოროტმოქმედთა თავიდან აცილებისათვის“.

„პარტიის ხელმძღვანელობა, — ნათქვამია შემდეგ ცნობაში, — კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პარტიის მიერ წამოყენებული სოციალისტური ალტერნატივა ყველგან სოლიდარულ მხარდაჭერას ხვდება მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენებში, რომლებმაც განიცადეს ქრისტიანულ-დემოკრატიული რეჟიმის უღელი, გასული ხუთი წლის განმავლობაში გაიმსჭვალნენ დიდი უნდობლობით მმართველი დაჯგუფებისადმი და დღეს მიესალმებიან ახლანდელი მდგომარეობის იმგვარად შეცვლის შესაძლებლობას, როგორც ამას სოციალისტური პარტია მოითხოვს...

ამ დროს როცა ქრისტიან დემოკრატთა და ლიბერალური პარტიების ქამელეონობა სახელმწიფო მმართველობის ფორმის საკითხში და ქრისტიან დემოკრატთა შეთანხმება მონარქისტებთან და ფაშისტებთან აყენებენ თვით რესპუბლიკის არსებობის საკითხს და მოწმობს დაწუბული და შემდგომში კიდევ უფრო საშიში რეაქციული გარდაქმნის სერიოზულობას — ხაზი, რომელსაც განუწყვეტლივ მიჰყვება სოციალისტური პარტია, ამ პარტიას ხდის თავისუფლების დაცვისა და რესპუბლიკის განმტკიცების გარანტიად“.

დალადიეს განცხადება

პარიზი, 25 მაისი. (საკ.ფსი). გაზეთმა „მონდმა“ გამოაქვეყნა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ედუარდ დალადიეს განცხადება, რომელიც მან გააკეთა ავინიონის მუნიციპალურ საბჭოში საფრანგეთის ყოფილ ფრონტელთა კავშირის ყრილობის მონაწილეებთან შეხვედრის დროს. დალადიემ თქვა:

„ბევრ სხვა საკითხს შორის უწინარეს ყოველისა ერთი საკითხი გაინტერესებთ თქვენ, ყოფილ ფრონტელებს: გერმანიის შეიარაღება, რომელიც საფრთხეს უქმნის საფრანგეთს და სპობს გერმანიაში ოდესმე ნამდვილი დემოკრატიის დამყარების ყოველგვარ იმედს...

მოვლენები უნდა შევაფასოთ ისე, როგორც არის, და მოვითხოვოთ რომ ოთხი სახელმწიფო ერთმანეთს შეხვდეს იმ მტკიცე განზრახვით, რომ გულწრფელად აწარმოონ მოლაპარაკება“.

„დემოკრატიული გერმანიის პოეტები“



ახლახან სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა კრებული: „დემოკრატიული გერმანიის პოეტები“. წიგნში მოთავსებული ლექსების თარგმანი ეკუთვნის ვახტანგ ბეწუკელს.

კრებულში შეკრებულნ დემოკრატიული გერმანიის ცნობილი პოეტების ნაწარმოებნი. ზოგიერთი ამ პოეტთაგან ფაშიზმთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა, დანარჩენები კი აქტიურად იბრძვიან ერთიანი, დემოკრატიული გერმანიისათვის, ინგლისელ-ამერიკელი დამპყრობლებისა და ფაშისტი რეაქციონერების წინააღმდეგ.

ეს კრებული ქართველ მკითხველს წარმოდგენას მისცემს თანამედროვე დემოკრატიული გერმანიის პოეზიის ისეთი წარმომადგენლების შესახებ, როგორიც არიან იოჰანეს ბეხერი, ბერტოლტ ბრეხტი, ერნსტ ბუში, ჰაინრიხ გრაიფი, ერიხ ვაინერტი, ფრიდრიხ ეოლფი, კუბა, ადამ კუკხოფი, რუდოლფ ლეონჰარდი, ჰორსტ ლომერი, კარლ შნოგი, ჰარო შულცე-ბოიზენი, ჰედა ცინერი და სტეფან ჰერმლინი.

კრებული იხსნება „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნით“, რომელიც იოჰანეს ბეხერის კალამს ეკუთვნის. ბეხერი თანამემამულეებს მოუწოდებს იბრძოლონ ახალი ცხოვრების შესაქმნელად, სძლიონ ბოროტება და წყვდიადი, მოუწოდებს გაერთიანდნენ ყველა ხალხთან, რადგანაც

თუ შევეფრდებით, რას დაგვაკლებენ
მტრები, სამზაკვროდ დაგეშილები,
ხალხს რომ ზარავენ შფოთით, აკლებით?
დე დაგვნათოდეს მშვიდობის შუქი,
რომ არ ვიგლოვოთ ჩვენი შვილები.

ი. ბეხერი განასხვავებს ორ გერმანიას. ერთი გერმანია წვავდა სოფლებს, გაბორკილებით ძარცვავდა ქალაქებს, ყლეტდა უმანკო ბავშვებს... მაგრამ დაბადა მეორე, ახალი გერმანია.

ახალი გერმანია დგას ამ ქვეყნის მოწინავე პოეტების შემოქმედების ცენტრში. ანტიფაშისტურ ემიგრაციაში მყოფი მწერლები ახალი გერმანიის მშენებლობაში აქტიურად ჩაებნენ მას შემდეგ, რაც 1945 წელს საბჭოთა არმიამ გაანადგურა ფაშიზმი და ამით სამშობლოში დაბრუნების საშუალება მისცა მათ. იმ მაღალი ამოცანებისა და კეთილშობილური იდეალების შესახებ, რაც დასახული აქვთ დემოკრატიული გერმანიის თავისუფალ შვილებს, წერს პოეტი კუბა ლექსში „შვილს“:

ახლა ყველაფერს
შენ დაიწყებ, შვილო, თავიდან,
გახვალ ქვეყნად და
ცხოვრების აზრს მაშინ გაიგებ,
ბრძნული აზრებით აღვსებული
„კაპიტალიდან“
ლენინისა და სტალინისკენ
დიდ გზას გაიგნებ.
და იმ წუთიდან
მთელი გულით,
მთელი გონებით
მიხვდები, რომ ღირს —
გზამდეს ქვეყნად: ბრძოლა, შენება,
რომ მხოლოდ შრომით ათეული მილიონების
იქმნება ქვეყნად ადამიანთ ბედნიერება.

ბერტოლტ ბრეხტი მიუთითებს მკითხველებს, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ მოსპობილან მემამულეები და ბურჟუები, რომ ხალხმა გზიდან უნდა ჩამოიცილოს ყველა, ვინც მას ეღობება ახლის შენებაში.

გერმანელი პოეტების პოლიტიკურ და შემოქმედებითს განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინეს საბჭოთა კავშირის სოციალისტურმა წყობილებამ და მისმა ლიტერატურამ. დემოკრატიული გერმანიის პოეტთა შემოქმედება გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის უდიდესი საკაცობრიო, პროგრესული როლის ღრმა შეგნებით. მათ კარგად იციან, რომ საბჭოთა ქვეყანამ გადაარჩინა მიხაილფერი ჭირისაგან მთელი პროგრესული კაცობრიობა.

პოეტი კუბა ლექსში „რა შორს გაინირცო თვალწარმტაცი შუქი აისის“ ლაპარაკობს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც იქონია საბჭოთა კავშირმა მისი სამშობლოს აღორძინების საქმეში.

ჰაინრიხ გრაიფი საბჭოთა კავშირში ხედავს მსოფლიოს მომავალ სახეს: „შენი დღეისი — ჩემი ქვეყნის დღეა ხვალისა“ — ამბობს იგი.

ლექსში „ჰიმნი საბჭოეთზე“ ბეხერი ქება-დიდებას ასხამს საბჭოთა კავშირს, მის ადამიანებს და მათ დიად საქმეებს. მშრომელთა ბელადების — ლენინისა და სტალინის სახეებისადმი მიძღვნილი კრებულში წარმოდგენილი ლექსები: ბეხერის „ჰიმნი დიდ სახელზე“, ჰაინრიხ გრაიფის „სტალინგრადი“, ერიხ ვაინერტის „კრემლში არ ქრება სინათლე“ და სხვ.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში გერმანიის მოწინავე პოეტები მთელი ძალით ებრძოდნენ გერმანელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის საერთო საძულველ მტერს — გერმანელ ფაშისტებს. ეს პოეტები წერდნენ ფურცლებს გერმანელი ჯარისკაცებისადმი, გამოდიოდნენ რადიოთი, მუშაობდნენ ანტიფაშისტურ ორგანიზაციებში. ფაშისტური იატაკქვეშეთის მძიმე პირობებში გერმანიის მოწინავე პოეტები თავგანწირულად იბრძოდნენ. ამ ბრძოლას შეეწირნენ ჰარო შულცე-ბოიზენი, ადამ კუკჰოფი და სხვები. ამ პოეტებს სიკვდილის წინა წუთებშიც კი ბრძოლისათვის უცემდათ გული. კრებულში წარმოდგენილი რამდენიმე ლექსი გადმოგვცემს იმ სულისკვეთებას, რითაც გამსჭვალული იყვნენ ფაშისტთა ვერხეს საკონცენტრაციო ბანაკში დატყვევებული პოეტი რუდოლფ ლეონჰარდი და ბუხენვალდის ბანაკში დამწყვდეული კარლ შნოგი. ადამიანთა მორალური და ფიზიკური წამება, მათი პოლიტიკური გათვითცნობიერების პროცესი კარგად არის გადმოცემული ჰედა ცინერის ლექსში „გერმანული ხალხური სიმღერა“.

ჰორსტ ლომერმა იცის, რომ „ელბის გაღმა“ ე. ი. გერმანიის დასავლეთ ზონაში, დაუსჯელად დადიან გერმანელი ფაშისტები, ის ადამიანები, რომლებიც, დაუსხლტნენ რა მარყუჟს და ტყვიას, კვლავ ელიან ახალ მსხვერპლს.

ლექსში „იანკი, გასცურე უკან!“ ერნსტ ბუში წერს, რომ ომის ამერიკელი გამჩაღებლები ხალხებს ძალით გარეკავენ ახალ ბრძოლაში, თუ მათ წინააღმდეგობა არ გაუწიეს უბრალო ადამიანებმა. მშვიდობის საქმე თვით ხალხებმა უნდა დაიცვან.

დიდხანს ვერ გასტანს ჩვენი მშვიდობა,
თუ ის ჩვენ თვითონ არ დავიცავით.

ლექსში „მშვიდობა“ ჰედა ცინერი წერს რომ, თუ მშვიდობის დროშას მაღლა ავწევთ, მაშინ მისთვის იბრძოლებს ყოველი დედა.

სიტყვა „მშვიდობა“ სხვადასხვა ქვეყნად გამოითქმება მრავალნაირად:

„Peace“ და „Paix“, ჩვენთან კი „Friede“,
მაგრამ ის ყველგან ნიშნავს აი რას:
მზისთვის, სითბოსთვის, სინათლისათვის
შობეს სიცოცხლე დედებმა ჩვენმა
და მაშ იბრძოლე შენც იმისათვის,
რომ ის ვერ მოსპოს ბოროტმა მტერმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ დგას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკში, რომელსაც დიდი საბჭოთა სახელმწიფო მეთაურობს... სტეფან ჰერმლინის ლექსში „წინ!“ ვკითხულობთ, რომ სირცხვილისა და ტანჯვისაგან წამებული გერმანელთა მხარე იხსნა მისმა დამხმარემ და ნამდვილმა მეგობარმა დიდმა საბჭოეთმა. გერმანელთათვის მოწოდებად ეღერს ჰერმლინის შემდეგი სიტყვები:

წინ, ერთიან სამშობლოსთვის,
რომ სიკეთე გვეჭნეს სრული
და განმტკიცდეს ხალხთა ძმობა,
მოგვახლოს გაზაფხული.

კრებულის მთარგმნელი ვახტანგ ბეწუკელი (გ. ნადირაძის რედაქციით) ცდილა დაეცვა ტექსტის სიზუსტე და ამასთანავე გადმოეცა მისი სული. კრებულში ბევრია მაღალმხატვრულად შესრულებული ლექსი. მთარგმნელს ქართულ ენაზე სათანადოდ აუცილებია გერმანელი პოეტების ლექ

ი. ა. მაღიკის პასუხი იმ წინადადებაზე, რომ მოწვეულ იქნას ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების მომზადების საკითხზე საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი

ლონდონი, 25 მაისი. (საკდესი). ა. წ. 11 მაისს ავსტრიის ხელშეკრულების საკითხზე საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირის მოადგილეთა მენერალურმა მდივანმა პასანმა სსრ კავშირის საელჩოს ინგლისში გაუგზავნა წერილი, მიმართული „ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების მომზადების საკითხზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილისადმი". ამ წერილში პასანმა აცნობა, რომ ინგლისის წარმომადგენელს შეაქვს წინადადება 27 მაისს მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი ავსტრიის ხელშეკრულების საკითხზე, და მიმართა თხოვნით აცნობოს, მისაღებია თუ არა აღნიშნული თარიღი.

პასანი თავის წერილში აგრეთვე იუწყებოდა, რომ მან ანალოგიური შინაარსის წერილები გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს.

25 მაისს სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკმა პასანს გაუგზავნა შემდეგი პასუხი:

„ვადასტურებ რა თქვენი 11 მაისის წერილის მიღებას, რომელშიც წამოყენებულია წინადადება 27 მაისს ლონდონში მოწვეულ იქნას ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტის მომზადების საკითხზე საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი, საჭიროდ მიმაჩნია ყურადღება მივაქციო შემდეგს.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მოგაგონოთ, რომ ავსტრიის ხელშეკრულების საკითხზე მინისტრების მოადგილეთა თათბირი არ არის რიგი მუდმივი ოთხმხრივი ორგანო და ასეთი თათბირების მოწვევა შეადგენს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს კომპეტენციას, რომლის დაარსების შესახებ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პოტსდამის 1945 წლის კონფერენციაზე.

საკითხი ავსტრიის ხელშეკრულების შესახებ, დაწყებული 1947 წლიდან, არაერთხელ ყოფილა განხილული მოადგილეთა თათბირებზე, მაგრამ, მიუხედავად საბჭოთა მხარის მეცადინეობისა, შეთანხმება არ იქნა მიღწეული. 1947-1949 წლებში მოეწყო მოადგილეთა სათანადო თათბირები, მაგრამ მათ არ მოჰყოლია ჯეროვანი შედეგები. მოადგილეთა თათბირებმა, რომლებიც 1950 წელს გაიმართა, აგრეთვე ვერ გადაჭრა ავსტრიასთან ხელშეკრულების საკითხი. იმ პოზიციის გამო, რომელიც სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დაიკავეს, მოადგილეთა თათბირმა, რომელიც 1953 წლის თებერვალში გაიმართა, აგრეთვე ვერ შეცვალა მდგომარეობა.

ასეთ ვითარებაში არა გვაქვს საფუძველი იმედი ვიქონიოთ, რომ ამჟამად განზრახული მოადგილეთა თათბირი მოგვცემს უფრო ხელსაყრელ შედეგებს, ვიდრე წინა თათბირები.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად მიმაჩნია, რომ ამჟამად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ამ საკითხის განხილვა დიპლომატიური წესით აზრთა შესაბამისი გაცვლის გზით".

ჯოლიჯის გამოსვლა ჯურინში დაპიეჯრო ნენისა—ნეაპოლში

რომი, 25 მაისი. (საკდესი). დემოკრატიული გაზეთები იუწყებიან, რომ კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელი მოღვაწეები 24 მაისს იტალიის ბევრ ქალაქში გამოვიდნენ ხალხმრავალ წინასაარჩევნო მიტინგებზე. კომპარტიის გენერალური მდივანი პალმირო ტოლიატი, რომელიც მიტინგზე გამოვიდა ტურინში, ეკამათებოდა პრემიერ-მინისტრ დე გასპერის, რომელმაც რამდენიმე საათით ადრე სიტყვა წარმოთქვა ვიტორიო-ვენეტოში. შეეხო რა დე გასპერის განცხადებას, რომ იტალიის მთავრობა ანტიკომუნისტურია, ტოლიატიმ თქვა: „სიმართლე რომ ითქვას, რატომ უნდა ჰყავდეს იტალიას ანტიკომუნისტური მთავრობა? კომუნისტები იყვნენ ფაშიზმისა და ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ რიგებში და ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს დემოკრატიული კონსტიტუციის შექმნაში... მთავრობის ანტიკომუნისტურმა პოლიტიკამ იტალიისათვის სერიოზული შედეგები გამოიღო, არც ერთი დიდი საკითხი, რომლის გადაწყვეტით დაინტერესებულია ჩვენი ქვეყანა, არ გადაწყვეტილა იტალიის ინტერესების შესაბამისად ამას შემდეგ, რაც მთავრობიდან მოშორებულ იქნენ მშრომელთა პარტიის წარმომადგენლები. დე გასპერი ჩვენს ქვეყანას აბამს ისეთ პოლიტიკაში, რომელიც ჩვენ გვაყენებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის გზაზე, რომლებიც იმპერიალიზმს აღარ ემორჩილებიან. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია განვახორციელოთ ეროვნული საგარეო პოლიტიკა, თუ არ მოესპობთ დე გასპერის გაბოროტებულ ანტისაბჭოთა პოლიტიკას".

შემდეგ, გადავიდა რა საარჩევნო ბრძოლის საკითხებზე, ტოლიატიმ მოუწოდა ყველა მოქალაქეს აქტიურად ებრძოლონ ინტრიგებისა და დაშინების წინააღმდეგ. მან მოუწოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს მიეხრონ სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიებს ერთიანი პროგრესული ფრონტის შესაქმნელად.

„ჩვენს დროშას წავაწერეთ სოციალიზმის დიადი ლოზუნგი, — განაცხადა დასასრულ ტოლიატიმ, — და სოციალიზმისათვის მოგიწოდებთ ხმა მოგვცეთ ჩვენ. თქვენი ხმის მოცემით ხელს შეუწყობთ იმას, რომ იტალიამ ახალი ნაბიჯი გადადგას წინ თავისუფლების, მშვიდობისა და სოციალურ გარდაქმნათა გზაზე, სოციალიზმის გზაზე".

როგორც გაზეთი „ავანტი" იუწყება, იტალიის სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა პიეტრო ნენიმ 24 მაისს ნეაპოლში სიტყვა წარმოთქვა მიტინგზე, რომელსაც 180 ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

თავდასხმა ინდოეთის კომპარტიის პოლიციუროს შენობაზე

დელი, 25 მაისი. (საკდესი). გაზეთ „ჰინდუსტან ტაიმსის" ცნობის თანახმად, ამ დღეებში 50 ხულიგანმა მოაწყო იმ შენობაზე თავდასხმა, რომელიც იკავია ინდოეთის კომპარტიის პოლიტბიუროს. ხულიგნებმა შენობიდან ქუჩაში გამოყარეს კომპარტიის მთელი ქონება: ქაღალდები, ჩანაკერები, პაპკები, ბიბლიოთეკა და დიდი მატერიალური ზარალი მიაყენეს.

80 ათასი უსახლკარო ახალგაზრდა

უმუშევრობაში, სიღატაკესა და შიმშილში უხდებათ ცხოვრება დასავლეთგერმანელ ახალგაზრდებს. თითქმის ყოველი უმუშევარი ახალგაზრდის ცხოვრება შემაძრწუნებელი ტრაგედიაა.

ბონელი მმართველები სრულებითაც არ არიან დაინტერესებული მშრომელი ახალგაზრდობის ბედით. დასავლეთ გერმანიაში ამჟამად 2 მილიონ უმუშევარზე 540 ათასი ახალგაზრდაა. 800 ათასი ჭაბუკიდან და ქალიშვილიდან, რომლებმაც უკანასკნელი სამი წლის მანძილზე დაამთავრეს სკოლები, 700 ათასი უსამსახუროდ დარჩა. მრავალი ასეთი ციფრის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგენოთ დასავლეთგერმანელი ახალგაზრდების კატასტროფული მდგომარეობა.

სურათზე ხედავთ დასავლეთგერმანელ ახალგაზრდას, რომელსაც თავშესაფარი გათელილ ბალახში უპოვნია. იგი ერთ-ერთია იმ 80 ათასიდან, რომლებსაც არა აქვთ არც სახლკარი, არც სამუშაო.

დასავლეთგერმანელი ახალგაზრდობის მძიმე მდგომარეობის მიზეზის მიხვედრა არც ისე ძნელია. დამნაშავენი არიან მმართველი წრეები, რომლებიც ახალგაზრდა მუშებს ქუჩებში ყრიან, ართმევენ ახალგაზრდობას სწავლის უფლებას, ფიქრობენ ფაშიზმის აღორძინებას და ძმათამკვლელი ომის გაჩაღებას.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 25 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 25 მაისს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიისა და ჩინეთის სახალხო მოხალისეთა შენაერთები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწოდნენ ცენტრალური ფრონტის ორ უბანზე.

გუშინ ღამით ამერიკის „ვ-29" ბომბდამშენებმა მხეცურად დაბომბეს სამხრეთ ფხენიანის პროვინციის სონჩონის მაზრის სოფლის რაიონები.

დღეს საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 4 და დაზიანეს 7 თვითმფრინავი.

ამერიკის ავიაცია გომბავს კორეის წყალსაცავებს

ფხენიანი, 25 მაისი. (საკდესი). ამერიკის ავიაცია კვლავ ბომბავს ჩრდილოეთ კორეის საირიგაციო ნაგებობებს. 21 მაისს ღამით რამდენიმე მძიმე ბომბდამშენი „მფრინავი ციხე" მოიერიშე თვითმფრინავების თანხლებით თავს დაესხა სამხრეთ ფხენიანის პროვინციის ტედონის მაზრის იონვონის წყალსაცავს. წყალსაცავის კაშხალს დააყარეს 40-ზე მეტი დიდი ბომბი. დაბომბვის შედეგად კაშხალი რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე დაინგრა, რის გამო წყალმა დიდ ფართობზე დაფარა გლეხთა ყანები. ეს არის სამხრეთ ფხენიანის პროვინციის სათეალავით უკვე მესამე წყალსაცავი, რომელიც ამერიკის ავიაციამ ამ ბოლო დროს დაანგრია.

ფხენიანი, 25 მაისი. (საკდესი). როგორც ღღეს კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო კომიტეტმა გასცა ბრძანება სამხრეთ ფხენიანის პროვინციაში წყალსაცავების დაბომბვის შედეგების ლიკვიდაციისათვის საგანგებო ღონისძიებათა მიღების შესახებ. ბრძანებით შექმნილია დაბომბვის შედეგების სალიკვიდაციო საგანგებო კომისია ცოი ჩან იკის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედის 12 წევრი. მათ შორის მიწათმოქმედების მინისტრი პაკ მუნ გიუ და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

კორეა-ჩინეთის დელეგაციის კომუნიკე

პეკინი, 25 მაისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტმა დღეს კესონიდან გადმოგვცა შემდეგი ტექსტი კომუნიკესი, რომელიც მოლაპარაკების კორეა-ჩინეთის დელეგაციამ გამოაქვეყნა:

25 მაისს დილის 11 საათზე რვა დღის შეწყვეტის შემდეგ, რაც მოწყობილ იქნა მეორე მხარის თხოვნით, განახლდა ორივე მხარის დელეგაციების სხდომა.

დღევანდელ სხდომაზე მეორე მხარის წარმომადგენელმა, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნა, რომ იგი მზად არის შემოიტანოს ახალი წინადადება ორივე მხარის მიერ გაკეთებულ სათანადო წინადადებათა და არაერთგზის განცხადებათა შესწავლის შემდეგ. მეორე მხარემ წარმოადგინა რეკომენდაცია, რომ ორივე დელეგაცია დაუყოვნებლივ შეუდგეს ადმინისტრაციულ თათბირს ორივე მხარის მიერ საკითხების თავისუფლად განხილვისათვის.

კორეა-ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა აღნიშნა: რამდენადაც მეორე მხარეს მიაჩნია, რომ თათბირის დახურული, ადმინისტრაციული ფორმა ხელს შეუწყობს მოლაპარაკების წარმატებას, კორეა-ჩინეთის დელეგაცია თანახმაა, რომ ეს ფორმა მიღებულ იქნას დელეგაციების სხდომებისათვის. მაგრამ კორეა-ჩინეთის დელეგაციას სურს განაცხადოს, რომ დელეგაციების სხდომები დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდნენ ღია თათბირის ფორმას მაშინვე, როგორც კი რომელიმე მხარე საჭიროდ მიიჩნევს შეწყვიტოს ადმინისტრაციული თათბირები.

ამის შემდეგ ორივე მხარემ დაიწყო ადმინისტრაციული თათბირი და შემდეგ მეორე მხარის მიერ სხდომის ბოლოს შემოტანილი რეკომენდაციით გადაწყვიტა მოეწყოს შესვენება ექვსი ღღით, 1 ივნისის დილის 11 საათამდე.

ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში

«კომუნისტის» კორესპონდენტებისაგან

დედაქალაქი იმოსება მწვანე ნარგავებით

თბილისის გამწვანების ტრესტმა გადაჭარბებით შეასრულა დედაქალაქში მწვანე ნარგავთა გაშენების საგაზაფხულო სამუშაოები. დარგულია 34 ათასზე მეტი დეკორაციული ხე და ბუჩქი.

დამთავრდა კლდოვანი ფერდობების გამწვანება კოჯრის გზატკეცილზე დავითაშვილის ქუჩიდან კომკავშირის ხეივნამდე. აქ დაირგო უმთავრესად კედარი, ფიქვი, ნუში, ფშატი და სხვა, სულ 11.445 ძირი.

მწვანე ნარგავებით შეიესო დედაქალაქის ყველა პარკი. მარტო ვაკის პარკში დარგულია 8.085 ძირი სხვადასხვა ჯიშის მცენარე.

ქალაქის გამშვენიერების მიზნით მთავარ ქუჩებზე გაკეთდა გაზონები. განსაკუთრებით ლამაზია მთავრობის სასახლის წინ გაშენებული ხალიჩოვანი გაზონი, რომელსაც ამშვენებს ნაძვები, კედრები, წყავი. ახალი გაზონები გაკეთდა აგრეთვე ლენინისა და უნივერსიტეტის ქუჩებზე, პლეხანოვის პროსპექტზე, საბჭოს ქუჩის მოედანზე და სხვა ადგილებში. მეტეხის ხიდთან გაშენდა კედრების ხეივანი. აქ კეთდება ახალი სკვერი.

4.500 ძირი ფოთლოვანი და წიწვოვანი ჯიშის მცენარე დაირგო მთაწმინდის ფერდობებზე.

მწვანე ნარგავთა გაშენებაში დაწინაურდნენ ორჯონიკიძისა (მთავარი აგრონომი ა. ფხაკაძე) და ბერიას (მთავარი აგრონომი ს. კვასხვაძე) რაიონების გამწვანების სექციები.



თბილისი. ი. ბ. სტალინის სახელობის სანაპიროზე.

გათუმის ბოტანიკურ გაღში

ბათუმის ბოტანიკური ბაღი მრავალ წერილს იღებს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებიდან, ნორჩ მიჩურინელთა წრეებისა და მცდელი მიჩურინელებისაგან, რომლებიც სთხოვენ მას ფიქვის, კვიპაროსის, სეკვოიის, დფნის, კაკლის, ფეიხოას, ევკალიპტისა და სხვ. თესლს.

ბოტანიკურმა ბაღმა ამას წინათ გამოუშვა სხვადასხვა თესლის ნუსხა, რომელშიც 400-ზე მეტი სახის ეგზოტიკური და 150 სახის ველური მცენარის თესლია დასახელებული. ეს ნუსხა გაიგზავნა 168 მისამართით, აქედან 61—ბოტანიკურ ბაღებში. უკანასკნელ ორ თვეში გაცვლის წესით 192 მისამართით გაიგზავნა სხვადასხვა თესლის 3.000-მდე პაკეტი. თესლი დაეგზავნა მოსკოვის, ერევნის, აშხაბადის, იალტის, ტაშკენტის, ოდესის, ალმა-ატის, მინსკის, ლენინგრადის, ვილნიუსის და სხვა ბოტანიკურ ბაღებს.

დიდი რაოდენობით ეგზავნებათ თესლი ჰიონერთა სახლებს, ნორჩ ნატურალისტთა სადგურებს. უკრაინის სსრ გოროდნიანსკის რაიონის სოფელ კუზნიჩის ნორჩი ნატურალისტები იწერებიან, რომ ევკალიპტის მიღებული თესლიდან მათ მიერ აღმოცენებულმა ევკალიპტებმა უკვე 1,2 მეტრ სიმაღლეს მიაღწია.

ამ გაზაფხულზე თესლის მოთხოვნილებამ იმატა.

გაზეთი „ბატუმსკი რაბოჩი".

რამდენიმე სტრიქონით

○ **ცხაკაიას რაიონის** სოფელ თეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ მიმდინარე წელს დაამთავრა კლუბ-კინტორის ახალი, კაპიტალური შენობა. აქ, კოლმეურნეობის გამგეობისა და ბუხჰალტერიის სამუშაო ოთახებს გარდა, არის სხდომათა დარბაზი, რომელიც 200 კაცს დაიტევს.

○ **ლაგოდეხს ესტუმრა** საქართველოს ფილარმონიის ქართული ესტრადის თეატრი, რომელმაც რაიონული კულტურის სახლში გამართა კონცერტი. პროგრამაში იყო ლექსების მხატვრული კითხვა, სვეტჩები, ხალხური სიმღერები. კონცერტს ბევრი მაყურებელი დაესწრო.

○ **ჭიათურის კულტურის სახლთან** შეიქმნა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელშიც 60-მდე კაცი და ქალია გაერთიანებული. ამ დღეებში ანსამბლმა უკვე გამართა საჩვენებელი კონცერტი. კონცერტები გაიმართება მაღაროებში, მსხვილ კოლმეურნეობებში, აგრეთვე ქუთაისში, ზესტაფონსა და საჩხერეში.

ჭიათურის თეატრის ახალი დადგმა

ჭიათურა. აკ. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ დადგმად უჩვენა რ. ქორქიას „მაიას წყარო".

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ა. დათეშაშვილი, ა. მოსაშვილი, ნ. ქუთათელაძე, ა. ბარათაშვილი, ბ. დურმიშიძე და სხვები. დაღამ ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ს. ცომაიას, მხატვრობა მ. აბჟანდაძეს.

წარმოდგენა მაყურებელმა კარგად მიიღო.

ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავცელებელი საზოგადოების გამგეობასთან არსებული ტექნიკის სექციის ლექტორიუმში (ბარათაშვილის ქ. № 8, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის დარბაზი) 28 მაისს საღამოს 8 საათზე, შედგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. გედეონიშვილის საჯარო ლექცია თემაზე: „საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია".

სასოფლო კლუბი

ოჩამჩირე. სოფელ ჯგერდის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის კლუბს დიდი წვლილი შეაქვს კოლმეურნეობის წარმატებაში. აქ ხდება მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა.

კლუბთან მუშაობს სასოფლო ლექტორიუმი, რომელსაც ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი მ. ამიჯბა ხელმძღვანელობს. ლექტორიუმის წევრებმა სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა წელს 50-ზე მეტი ლექცია-მოხსენება წაიკითხეს სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებზე. კლუბში ხშირად ეწყობა სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მოხსენებები.

ამას წინათ სოციალისტური შრომის გმირმა მ. ამიჯბამ უამბო კოლმეურნეებს თამბაქოს უხვი მოსავლის — ჰექტარზე საშუალოდ 27 ცენტნერი თამბაქოს მიღების თავისი გამოცდილება.

კლუბში სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების პერიოდში კლუბში ჩამოყალიბდა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელიც კოლმეურნეობის ბრიგადებსა და რგოლებს ადგილებზე უწევს კულტურულ მომსახურებას.

ბიბლიოთეკა

სპორტის ამბები

საქართველოს XIV პირველობა ფადრაკში

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს, 25 მაისს, ოსტატობის კანდიდატმა ა. ბლაგიძემ გამარჯვება მოიპოვა ოსტატ მ. შიშოვთან და ოსტატობის კანდიდატ თ. გიორგაძესთან. ნ. სოროკინი — ა. გამოეკელი და ა. ბუსლაევი — ჰ. არნშტეინი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. თ. გიორგაძემ მოუგო ა. დავრანიანს, მ. შიშოვმა — ნ. ბახტაძეს და ი. ჩიქოვანს; ი. ჩიქოვანმა წაგო აგრეთვე ორი გადადებული პარტია ო. ელიოზიშვილთან და ბ. გურგენიძესთან. ოთხი პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

გუშინ გაიმართა ჩემპიონატის მეცხრე ტური. თ. გიორგაძემ მოუგო ბ. გურგენიძეს, ო. ელიოზიშვილმა — ნ. ბახტაძეს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

9 ტურის შემდეგ წინ არის ოსტატობის კანდიდატი ა. ბუსლაევი, რომელსაც აქვს 6½ ქულა და 1 გადადებული პარტია.

ღღეს ჩატარდება მე-10 ტური.

ა. ფალავანდიშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ კუიბიშევში გაიმართა საბჭოთა კავშირის XV ჩემპიონატის მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „ლოკომოტივისა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდები. შეხვედრა დამთავრდა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გამარჯვებით ანგარიშით 2 : 0.

საქართველოს პირველობა ფეხბურთში

24 მაისიდან ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში დაიწყო საქართველოს 1953 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში, რომელიც სამ ჯგუფად მიმდინარეობს.

პირველ ჯგუფში მონაწილე ფეხბურთელთა 16 კოლექტივი ტერიტორიის მიხედვით გაყოფილია ორ — „ა" და „ბ" ქვეჯგუფად. თვითეულ ქვეჯგუფში პირველ სამ ადგილზე გამოსული გუნდი (სულ 6) გაითამაშებს ფინალს. ამ შეხვედრებში გამარჯვებულს მიენიჭება საქართველოს ჩემპიონის წოდება.

24 მაისს პირველი კალენდარული შეხვედრები გაიმართა თბილისში, გორში, თელავში, ქუთაისში, მახარაძესა და ბათუმში.

„ა" ქვეჯგუფში გორის „დინამომ" მოუგო ბორჯომის ნაკრებს ანგარიშით 4 : 2. თელავის „დინამოსა" და წითელწყაროს „ნეფტიანიკის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0 : 0.

„ბ" ქვეჯგუფში ქუთაისის „დინამომ" მოუგო ხაშურის „ლოკომოტივს". მახარაძის „კოლმეურნისა" და ზუგდიდის „დინამოს", აგრეთვე ბათუმის „დინამოსა" და ქუთაისის ლ. პ. ბერიას სახელობის კლუბის გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 1 : 1 და 2 : 2.

ავტოკროსი

კვირას, 24 მაისს, ნებაყოფლობითმა სასპორტო საზოგადოებამ „ტრუდმა" ლენის ტბის მიდამოებში მოაწყო ავტოკროსი „პობედისა" და „გაზ-51" მარკის მანქანებით.

დიდი ინტერესი გამოიწვია მსუბუქი ავტომანქანების („პობედა") კროსმა 64 კილომეტრზე. პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ტაქსმოტორების კანტორის მძღოლმა ს. ბარსეგოვმა, რომელმაც 64 კილომეტრი (8 წრე) დაფარა 1 საათში, 3 წუთსა და 19 წამში. მეორე ადგილზე გამოვიდა შ. ზარდიაშვილი.

„გაზ-51" საბარგო მანქანების ავტოკროსში გამარჯვებული გამოვიდა საბარგო ავტოტრანსპორტის კანტორის მძღოლი ი. მოდრეკელიძე. 64 კილომეტრი მან დაფარა 1 საათში, 26 წუთში და 36.2 წამში. მეორე ადგილი დაიკავა გ. ხუჭუამ.

გუნდური პირველობის გათამაშებაში გამარჯვებული გამოვიდა ტაქსმოტორების მძღოლთა კოლექტივი ს. ბარსეგოვის, ა. მოლოდინაშვილისა და შ. ზარდიაშვილის შემადგენლობით. მათი დროა — 1 საათი, 6 წუთი და 2 წამი.

შეჯიბრებაში გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ყურადღება!

400-დან 100.000 მანეთამდე შეიძლება მოიგოთ სახელმწიფო 3 %-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ოგლიგაციით

ოთხი დღის შემდეგ—1953 წლის 30 მაისს ქალაქ კიევში შედგება სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი 33-ე ტირაჟი

ამ ტირაჟში სესხის თვითეულ თანრიგზე გათამაშდება

4.650.200 მანეთის 8.500 მოგება. მათ შორის 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400-მანეთიანი მოგებანი

ყოველწლიურად ეწყობა სესხის მოგებათა ექვსი ძირითადი ტირაჟი:

30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს, და მოგებათა ერთი დამატებითი ტირაჟი 30 სექტემბერს.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო

„სოიუზპეჩატი"

ხელმოწერთა საყურადღებოდ

ცხადდება,

რომ ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე,

რომლის ვადა ივნისში თავდება, შეიძლება აღდგენილ იქნას 1953 წლის მეორე ნახევრისათვის ცენტრალურზე 20 ივნისამდე, რესპუბლიკურზე—25 ივნისამდე.

„სოიუზპეჩატი".

მოსავლიანობის განსაზღვრის სახელმწიფო ინსპექცია აცხადებს კოლმეურნეობათა გამგეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციის, აგრეთვე ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 1953 წლის 1 ივნისიდან საქართველოს სს რესპუბლიკაში ტარდება ყველა კატეგორიის მეურნეობათა ნათესი ფართობების დასკვნითი აღრიცხვა, ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში აგრეთვე ჯიშიანი ნათესების აღრიცხვა.

აღრიცხვა ყველგან ეწყობა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონული და საუბნო ინსპექტორების, სასოფლო და საქალაქო სტატისტიკური სამმართველოების მეშვეობით.

ყველა ორგანიზაცია ვალდებულია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში არსებულ თავის დამსმარე მეურნეობათა სიები აცნობოს მოსავლიანობის გამომრკვევ თბილისის სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციას (ფიროსმანის ქ. № 58), ხოლო დასავლეთ საქართველოში არსებულ მეურნეობათა სიები — სუხუმის სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციას — ქ. სუხუმი, კაგანოვიჩის ქ. № 40.

აღრიცხვის ფორმა — ბლანკების (ფ. № 4) მისაღებად უნდა მიმართონ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებს, ე. ი. რაიონულ (საქალაქო) სტატისტიკურ სამმართველოებს.

ცნობები მოქალაქეთა ინდივიდუალური ნათესების შესახებ უნდა მიეცეს რეგისტრატორ-აღმრიცხველებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან ნატალია არსენის ასულ მეხუჭლას გარდაცვალებას.

მეუღლე ივლიტა, შვილები ზინა, კოტე, ნიკოლოზ, ვასილ, სიძე გალაქტიონ მინდიაშვილი, რძლები დ. ჩანთაძე, დ. ომენინა, შვილიშვილები მამია, თამაზ, იუნონა იუწყებიან ილარიონ ნიკოლოზის-ძე ლომთაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-V, 8 ს. გამოსვენება 28-V, 6 ს. რეზერვუარის ქ. № 33.

დედა აგრაფინა, ძმები გერონტი, შალვა, რძლები ნათელა, თამარ კოროშინაძეები, ბიძა ათანასე, ბიცოლა ვარვარა ესაკიები იუწყებიან ნათელა ირაკლის ასულ კოროშინაძე-კობახიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-V, 8 ს. გამოსვენება 28-V, 6 ს. კამლოვის ქ. № 10.

თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ნატალია არსენის ასულ მეხუჭლას გარდაცვალებას.

შვილები კირილე, ნოე, შალვა, აგრაფინა, მარიამ, შუშანა, რძლები ქსენია, ელენე მოსეშვილები, სიძეები ა. ბარისოვი, ვ. კოსტავა, შვილიშვილები თამარ, ლუკა, ზურაბ, რუდიკო, აკაკი იუწყებიან ბარბალე ხეხნიას ასულ მოსეშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-V ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, წულუკიძის ქ. № 18.

ქ. თავიდაშვილი, ა. აფხაზავა, ა. ქომეთიანი, ნ. წერეთელი, ც. ჯიაძე, ს. მაგრაქველიძე, ჯ. გალუსტოვა, თ. შარაშენიძე, ო. დემეტრაშვილი, ს. ხარაზოვა, შ. თეთრაშვილი, კ. მახარაძე, გ. დათუაშვილი, ქ. წულუკიძე, მ. დარსაველიძე იუწყებიან აგრონომ მიხეილ ამბაკოსძე ცაგარელის გარდაცვალებას.

დ. ლორთქიფანიძე, რ. ნიკოლაძე, გ. ნიორაძე, ვ. გეგუჩაძე, შ. ჩუბინიძე, ა. ხუნდაძე, ვ. რამიშვილი, მ. ლომინაძე, ვ. კაპანაძე, ა. მიქაძე, მ. სიმონია, მ. ჩინჩალაძე, ა. ჩაჩიბაია ვ. ქაჯაია, ვ. ბეჟიაშვილი, ნ. ლეკავა იუწყებიან ეფროსინე ანდრიას ასულ დისამიძე-გიორგაძის გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84. მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-06-88 წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

УЦ 03422

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".